

68 / 2



ՄԱՐԿԱԿԱՆ

ՆՈՒՆԱԿԱՆ



1968

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ԳՐԱԴԱՐԱՆ



საქართველოს თეატრალური საზოგადოების

მოამბე

№ 1 (43)

10.819

19 თბილისი 68



შ ი ნ ბ ა რ ს ი

თეატრის საერთაშორისო დღე	3
მაქსიმ გორკის დაბადების 100 წლისთავი	
გ. ბუხნიკაშვილი — მ. გორკის დრამატურგია ქართულ სცენაზე	5
გ. ბათიაშვილი — „მდაბიონი“ გორის თეატრში	7
თ. ტაბიძე — თეატრალური საზოგადოების პლენუმი	7
მაქსიმ გორკისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია	7
წ. კველიშვილი — შეხვედრა მუზეუმში	8
საზეიმოდ აღნიშნეს	8
8 მარტი — ქალთა საერთაშორისო დღე	
წ. ელიაშვილი — მსახიობი ქალები	9
მახარაძის თეატრის 100 წლისთავი	
შ. შენგელი — ფართო გზა და დიდი პერსპექტივები	10
წ. ლაშხია — ასე წელი ხალხის სამსახურში	11
ჩვენი იუბილარები	
ნარ-დოსის საიუბილეო საღამო	13
ბაკურიანის დიალოგები	14
გ. ქარელიშვილი — ვიქტორ ნინიძე	15
წ. შვანგირაძე — სახელოვანი გზა	16
თავმდაბალი და უანგარო	17
რესპუბლიკის თეატრალურ აფიშასთან	
მ. ფიჩხაძე — თანამედროვეობა, თეატრი, აქტიორი	18
ვ. კიცაძე — ეთიმ გურჯი თელავის თეატრის სცენაზე	19
თ. ანთაძე — „ბაბაჯანას ქოშები“	20
სამი საღამო და ერთი დღე	21
ღვაწლმოსილთა გახსენება	
საზოგადოების ახალი წევრები	22
ბ. კრავეიშვილი — მცირე მოგონება	23
ს. კვიციანი — ვასო ყუშიტაშვილი	24
ე. ქ. ტრაგიკული პათოსის აქტიორი	26
წ. კველიშვილი — იურისტი — ხელოვნების მეგობარი	28
თ. თეთრაძე — ალექსანდრე სიხარულიძე	30
კონკურსში გამარჯვებულნი	30

რედაქტორი — **იკემია ძარელიშვილი**

საკრედიტო კოლეგია: დ. ანთაძე, ვ. გოძიაშვილი, ო. ვეაძე,
 ნ. გურაბანიძე, დ. მჭედლიძე, ბ. ჟღენტვი,
 ნ. შვანგირაძე, გ. ციციშვილი, ა. ხორავა,
 დ. ჯანელიძე.

თეატრის მ-7 საკითხთაშორისო ღწ

წილს მიუბრუნის საერთაშორისო დღე პროლეტარიატის დიდი მწერლის, საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლის მაქსიმ გორკის დაბადების 100 წლისთავს ემთხვევა. ამიტომაც ჩვენს ქვეყანაში ეს დღე ამ დიდ ჰუმანისტს მიეძღვნა, რომლის შემოქმედებაც აღამიანებს შორის ურთიერთგაგებას, ადამიანებში ჰუმანიზმის ჰუმანიზმის გაღვივებას ემსახურებოდა.

მშრომელთა ინტერნაციონალური მეგობრობისადმი მუდამ ერთგული საბჭოთა თეატრი, ისევე როგორც მთელი ჩვენი ხალხი, თეატრის საერთაშორისო დღეს მეგობრობისა და დახმარების ხელს უწყვედის სხვა ქვეყნების თეატრებს.

ხალხთა შორის ურთიერთგაგება და მშვიდობის განმტკიცება შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ყველა მშვიდობისმოყვარული ძალების მობილიზაციით და ამ ძალების დაპირისპირებით მილიტარისტებისა და ნეოკონონანისტების აგრესიული ზრახვების წინაშე. მსოფლიოს მოწინავე თეატრებს შეუძლებელია დიდი როლი ითამაშონ ამ კეთილშობილურ საქმეში.

ჩვენთვის უკვე გადაწყვეტილია მთავარი საკითხი. საკითხი იმისა თუ რატომ არსებობს თეატრი, ჩვენ უკვე ვიცით თეატრის როლი საზოგადოების ცხოვრებაში. ჩვენი თეატრი — ეს არის ცხოვრებისეული სიმართლის კოლექტივი, რომელიც მჭიდროდა დაკავშირებულია ხალხთან. თავისი არსებობის მანძილზე საბჭოთა თეატრი იბრძვის ახალი, სიმართლას პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წყობისათვის. საბჭოთა თეატრის ჩამოყალიბება და შექმნა — ეს არის შემოქმედებითი პროცესი. ეს არის გზა ძიებებისა. — ჯანსაყენელი წლები ხასიათდება რეჟისურის შემოქმედებითი ძიებით, იქმნება ერთნაირად მოაზროვნე შემოქმედებითი კოლექტივება, სდება თეატრების ჟანრობრივი შემოქმედებითი და სადადგმო მანერის დიფერენციაცია. ეს ნაყოფიერი, დადებითი პროცესი მოწოდებს თუ როგორ აქტიურად მდიდრდება სოციალისტური რეალიზმი დღეს ჩვენში ცხარედ კამათობენ ცალკეულ სპექტაკლებზე, ადგილს აქვს აზრთა ურთიერთშეპირისპირებას თეატრალური ხელოვნების ამა თუ იმ ნაწარმოებზე. ეს ბუნებრივი პროცესია თეატრის

განვითარებისა. ჩვენი თეატრის ცხოვრებაში შედის და მტკიცედ იკიდებს ფეხს მრავალი სახელი. შემოქმედებითი პრობლემების საქმიანი განხილვა ხელს უწყობს ჰუმანიზტების გამოვლენას, შემოქმედებით მუშაობა ინტელექტუალური და მხატვრული დონისა ამაღლებას.

ახლა თეატრი ცდილობს უფრო აქტიურად დაეხმაროს ადამიანს ცხოვრებისეულ პროცესების გაგებაში, დაეხმაროს გავიგოს და შეაფასოს თავისი ადგილი იმ იდეოლოგიურ ბრძოლაში, რომელიც ჩვენს ეპოქას ახასიათებს. საბჭოთა თეატრის წამყვანი ოსტატები ცდილობენ შექმნან მასშტაბური, სინამდვილის ფართო პლანით წარმომსახველი, ცხოვრებაში ღრმად მწვდომი სპექტაკლები.

შემოქმედების დემოკრატიზმი, მრავალფეროვნება და ხალხისათვის გასაგებად წერისაკენ სწრაფვა, ცხოვრების სიმართლე, უდიდესი ჰუმანიზმი და მოწინავე იდეების დაცვა, — ეს განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო სოციალისტური რეალიზმის ფუნქციონირების ა. მ. გორკისათვის.

აქ უნდა მოვიგონოთ ის ფაქტი, რომ მას შემდეგ, რაც კ. სტანისლავსკიმ და ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკომ მ. გორკი „აღმოაჩინეს“ როგორც დრამატურგი, უკვე 67 წელი გავიდა. მ. გორკის თეატრალური გზა დაიწყო მაშინ, როცა პირველი მსოფლიო ომის წინ დასრულებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ატმოსფერო სუფევდა. ახალი დემოკრატიული სამხატვრო თეატრის რეჟისორებს ცოტა ბრძოლა როდი დასჭირდათ იმისათვის, რომ სცენაზე გაეტანათ გორკის პირველი პიესა „მდაბიონი“. გორკის ამ პიესამ, მართლაც, უაღრესად რევოლუციური როლი ითამაშა XX საუკუნის თეატრის განვითარების საქმეში. ამ პიესაში იმთავითვე განისაზღვრა გორკის დრამატურგიის მნიშვნელოვანი დამახასიათებელი თვისებები. „მდაბიონში“ პირველად დაისვა ნამდვილი და ყალბი სიკეთის პრობლემა, რომელიც შემდეგ მის თითქმის ყოველ პიესაში იჩენდა თავს. „მდაბიონში“ პირველად გამოჩნდა ახალი ეპოქის გმირი რევოლუციონერი პროლეტარი, რომელიც წინამორბედი იყო მეოცე საუკუნის ხელოვნების ბევრი გმირისა. პიესებმა „ფსევრზე“,



სამხატვრო თეატრში, და „მოავარაყენმა“, კომისარყევსკაის სახელობის თეატრში, რომლებიც 1905 წლის რევოლუციის წინ დაიდგა, უცებ მოიპოვა ფართო პოლიტიკური რეზონანსი. შემდეგ გამოჩნდა „შვის შეილები“, „მტრები“, „უკანასკნელი“. გორკის ყოველი პიესა უღარესად თანამედროვე იყო, ისინი უშეშრად ლაპარაკობდნენ ყველაზე მთავარზე და რუსეთის ცხოვრების არსებით პრობლემებზე.

გორკის პიესების მეოხებით იმდროინდელი რუსული თეატრი ზრდიდა რუსული საზოგადოების რევოლუციურ თვითშეგნებას. გორკი იმთავითვე გახდა ადამიანთა გულთა და ფიქრთა მყარობელი, და ეს ასე იყო არა მარტო მის სამშობლოში. 1902 წლიდან მოყოლებული გორკის პიესები ითარგმნებოდა ქართულ, ესტონურ, ზომხურ, თათარულ და სხვა ენებზე. გორკის პიესები ყოველგან ბრძოლით იკავავდა გზას სცენისაკენ.

გორკის პიესები უცხოეთშიც ხშირად იბეჭდებოდა. ბერლინის მცირე თეატრში ჯერ კიდევ 1902 წელს დაიდგა „მდაბიონი“. რეინჰარდმა შექქმნა თავისი ცნობილი სპექტაკლი „ფსკერზე“ და თვითონვე ითამაშა ლუკას როლი.

ზღუგარეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, საფრანგეთში (აქ ვასილისას როლი საყოველთაოდ ცნობილმა ელმონორა დუზუჰმ შესარულა) იაპონიასა და სხვა ქვეყნებში წარმატებით იდგმება გორკის პიესები. გორკის თეატრი მთელი სიმძაფრით ლახვარს სცემს მდგომარეობასთან შერიგების, მორჩილებისა და თვითგემის ფილოსოფიას. გულს უფერებს ყველა ქვეყნის მშრომელებს, რომლებიც დღემდე უღრმესი მადლიერებითა გრძნობით, როგორც გ. დიმიტროვი ამბობდა, იყენებენ მას როგორც უდიდეს ლიტერატურულ საგანძურს, რომელიც დიდმა ადამიანმა დასტოვა.

ამ უკანასკნელ ხანებში უცხოეთში შენიშნული უჩვეულო სწრაფვა კლასიკისაკენ პიესებსა იმით, რომ დასავლეთის თეატრის პროგრესულ მოღვაწეებს სურთ უფრო მნიშვნელოვანი, უფრო ამაღლებული და ფსიქოლოგიურად ღრმა ნაწარმოებები აჩვენონ მსყუარებელს, რომელიც მოიქანცა მოდერნისტული მანკვა-გარბვისაგან. ამ თვალსაზრისით რუსულმა კლასიკამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა. რუსული კლასიკის ნაწარმოებებში უცხოეთის თეატრის ოსტატები პოულობენ თანამედროვეობისათვის საჭირო

პრობლემებს, რომლებიც ამ ეტაპზე უკვე სჭირდება მათს ხალხსა და ქვეყანას.

დასავლეთის თეატრის მოწინავე მხატვრები ერთსულთონვად აღიარებენ რუსული კლასიკის დიდ როლს მსოფლიოს თეატრალური კულტურის განვითარებისა და სცენაზე რეალიზმის დამკვიდრების საქმეში.

საბჭოთა თეატრი თავისი პირველი ნაბიჯებიდანვე უხვად ეწაფება ხალხური შემოქმედების მჭიდვარე წყაროს, რუსული და მსოფლიოს ქვეყნების კლასიკას.

ჩვენთვის უცხო არ არის მსოფლიოს თეატრების გამოცდილება. ამიტომაცაა, რომ ჩვენს თეატრებში ხშირად შეგიძლიათ ნახოთ უცხოელ ავტორთა პიესები, უფრო მეტიც უკანასკნელ წლებში საბჭოთა მსყუარებელი და შემოქმედებითი ინტელიგენცია ახლოს ეცნობა ჩვენი პლანეტის სხვადასხვა თეატრებს, ყოველწლიურად ფართოვდება საბჭოთა და უცხოეთის თეატრალურ მუშაკთა პირადი კონტაქტები. ვარდა ვასტროლებზე ჩამოსულ კოლექტივებისა, ჩვენ ხშირად ვმასპინძლობთ უცხო ქვეყნების დელეგაციებს და სხვადასხვა კონგრესებზე. სიმპოზიუმებსა თუ ტურისტულ მოგზაურობაში ეგზავნიათ ჩვენს გამორჩეულ თეატრალურ მუშაკებს. ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ ავითვისოთ ყოველივე პროგრესული, გავამდიდროთ რეალისტური მეთოდი და ჩამოვიკიდოთ ის, რაც ბურჟუაზიულ გემოვნების მიერაა ნაკარნახევი.

საბჭოთა თეატრის ხალხურობა და მსოპრობობა მჭიდროდაა დაკავშირებული მის მრავალეროვნულ ხასიათთან. დღეს ყოველ რესპუბლიკაში, ავტონომიურ ოლქში, ყველაზე პატარა ხალხსაც კი თავისი თეატრი აქვს, თავისი ჩამოყალიბებული დრამატურგები, რეჟისორები და უნიჭიერესი; სახელმწიველი მსახიობები ჰყავს.

ჩვენი თეატრალური კულტურა არამარტო ხალხის საკუთრება ვახდა, არამედ თვით ხალხი ქმნის მას. თეატრის ენოზუისტები არიან თითქმის ყოველ საწარმოსა და ყოველ დასახლებულ პუნქტში. ჩვენი სასამდედ სახალხო თეატრია.

თეატრის საერთაშორისო დღის ზეიმის დღეებში ყოველი ქვეყნის ყოველი თეატრალური მოღვაწის ვალია გააძლიეროს თეატრის როლი მშვიდობისა და ფრთხილთაგებისათვის ბრძოლის საქმეში, ხელი შეუწყოს თეატრის აქტიურ ბრძოლას პროგრესისათვის, თავისუფლებისათვის, კომუნისმისათვის,

მაქსიმ გორკის ღრამაგურია ქართულ სენაზე

ცნობილია, რომ მაქსიმ გორკი საქართველოს თავის მეორე სამშობლოს უწოდებდა. დიდი რუსი მწერალი წერდა: „არასოდეს არ მავიწყდება თბილისი. სწორედ ამ ქალაქში ვადვდები პირველი გაუბედური ნაბიჯი იმ გზაზე, რომლითაც აი, უკვე ოთხი ათეული წელიწადია, რაც ვადვივარ. შეიძლება ვიფიქრო, რომ სწორედ ამ ქვეყნის დიდებულმა ბუნებამ და მისი ხალხის რომანტიკულმა გულთბილობამ, სწორედ ამ ორმა ძალამ მომცა ის ბიძგი, რომლითაც ყოფილი მოხეტიალე ლიტერატორი ვავხდები“.

მაქსიმ გორკის ჩვენი ქვეყნისადმი გულწრფელ სიყვარულს ქართველი მშრომლები ასევე გულწრფელი სიუფლითი უპასუხებდა. მისი ნაწარმოებები დიდი პოპულარობით სარგებლობდა და სარგებლობს ჩვენში.

გორკის მოთხოვნები უკვე 90-იანი წლების დამლევდენი ქვეყნებოდა ქართულ პრესაში, კერძოდ უწინაოდ „კავალში“, ხოლო 1902 წელს მისი მოთხოვნების თარგმანები ერთბაშად ორ წიგნად გამოიცა თბილისში და ქუთაისში. მაქსიმ გორკის ბელეტრისტულ ნაწარმოებების გავრცელებას საქართველო თავის მდიდარი და შინაარსიანი ისტორია აქვს, საქმარისა აღვინიშნოთ, რომ უკანასკნელ წლებში მისი ნაწარმოებები ქართულ ენაზე თარგმნენ ტომთა არის გამოუყლი. მაგრამ ეს არ შეადგენს ჩვენი მსჯელობის საგანს. ამჟერად ჩვენ გვიანტერესებს ქართულ სცენაზე მისი დრამატული ნაწარმოებების განახიერების საკითხი.

თბილისის მყურებელს მაქსიმ გორკის პირველი პიესები „მედალიონი“ და „უხერკე“ უკვე ცხრახათნი წლების დამდეგს გააცნო თბილისის რუსულმა დრამატულმა თეატრმა.

უფრო მოგვიანებით, სახელდობრ 1907 წელს პოეტმა ბეგლარ ახოსპირელმა თარგმნა და ცალკე წიგნად გამოსცა მ. გორკის პიესა „უხერკე“ („ნაძირალი“), ხოლო ერთი წლის შემდეგ იგი დაიდგა კიდევ ქართულ სცენაზე. აღსანიშნავია, რომ ამ პიესაში მოთავსებული ცნობილი ლექსი: „მზე ამოდის, ისევ ჩადის, ჩემ საკანში კი ბნელა“... გაცილებით აღერ იყო თარგმნილი და მას ქართველი მუშები რევოლუციური დემონსტრაციებზე და მიტინგებზე მეტროდენენ.

„უხერკე“ წარმოდგენილ იქნა 1908 წლის 4 მაისს, თბილისის არტისტიკული საზოგადოებრივ (ახლანდელი რუსთაველის თეატრი) ქართული თეატრის მსახიობთა და სცენისმოყვარეთა ახსნაფობის მიერ. წარმოდგენის შემოსავალი გამოწეული იყო ბეგლარ ახოსპირელის დასახმარებლად, რომელიც იმ დროს ვადმყოფობდა და მუქრანლობისათვის საღარებო არ გაჩანდა. როლებს ასრულებდნენ: ნ. გაბუნია, (კვაშინა), ნ. გოცირიძე (კოსტოლევი), ვ. გუჩია (ლუკა), ვ. აბაშიძე (მსახიობი), ა. იმედაშვილი (სატინი), გ. გედევანოვი (ბუნხოვი), კ. შათირიშვილი (ბარონი) და სხვანი. გამოჩენილი პოეტის იოსებ გრიშაშვილის ცნობით, რომელიც ამ წარმოდგენაში სცენაროუსის მოვალეობას ასრულებდა, წარმოდგენას კარგად ჩაუვლია. იგი წერს, რომ ეს იყო „ერთ-ერთი უაღრესად

სოციალური და საბრძოლო სულისკვეთებით გამსჭვალული წარმოდგენა რეაქციის შეგნულ დროში“...

1909—1910 წლ. სათეატრო სეზონში „უხერკე“ წარმოდგენა ქუთაისის დასმა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ვალერიან გუჩია და შალვა დადიანი. 1913 წელს „უხერკე“ დადგა ბათუმის დასმა, რომელსაც შალვა დადიანი მეთაურობდა.

რევოლუციამდელ პერიოდში მაქსიმ გორკის მეორე პიესაც ნახა ქართველმა მყურებელმა. ეს იყო „უკანასკნელი“, რომელიც ერთი ოჯახის ცხოვრების მაგალითზე შესანიშნავად იყო დასუთათებული ცარიზმის გახრწნა. მაქსიმ გორკიმ „უკანასკნელი“ დაწერა 1908 წელს, მაგრამ მისი სცენაზე დადგმა მისთვის აიკრძალა და რუსულ სცენაზე ცარიზმის დროს ეს პიესა არ დადგმულა. დაიდგა პირველად 1910 წელს უცხოეთში, ბერლინში, მაქს რაინჰარდტის თეატრში. სწორედ იმავე წელს „უკანასკნელი“ დადგა ქართულად (თარგმანი ვ. ბარველისა) ქუთაისის დასმა მიხეილ ქორელის რეჟისორობით. საცენურო კომპიტეტში თბილისში პიესის დადგმის ნებართვა მოტყუებით მოახერხა ქუთაისის თეატრის მსახიობმა და აღმინისტრატორმა ვასო ურუშუაძემ.

წარმოდგენასთან დაკავშირებით თეატრმა დაბეჭდა ლიბრეტო, რომელშიც პატარა წერილი იყო მოთავსებული მაქსიმ გორკის დრამატურგიისა და კერძოდ „უკანასკნელის“ შესახებ. წერილში ვკითხულობთ: „მაქსიმ გორკის იმდენი დაკვირვება შესწავლა, რისთვის რუსეთის ცხოვრებას და თან ერთი მძღვარი ნიკო პატრონი, რომ მის დრამატულ ნაწარმოებებს ვერც ერთი სეროიზულად მომეშუებ დასი და ვერც ერთი აზროვნების მოყვარული მყურებელი გვერდს ვერ აუხვევს“... ხოლო თვით პიესის „უკანასკნელის“ შესახებ შემდეგი სწერია: პიესა „უკანასკნელშია“ც გორკიტებურის ძლიერებით არიან დახატული ცნობილი ტიპები, დღევანდელ დუბიორ წესწყობილების მიერ შექმნილი პიროვნებანი: ყოფილი პოლიციისტი, რომელმაც ლოთობაში და ქალაქის თამაშში გაატარა თავისი დღენი, და მოთელი მისი ოჯახი, სულელირად და წენოვირად დასახიერებული არსებანი. გორკიმ უთუოდ განგებ დაარქვა ყველა მათ „უკანასკნელი“ და ამითი ჩვენს დღევანდელს სასოწარკვეთილებას ნუგეშო სცა: გათავდა, ამისთანები აღარ იქნებიან, უკანასკნელი არიანო“...

ქუთაისის დასმა 1910—1911 წლ. სათეატრო სეზონში „უკანასკნელი“ ორჯერ ითამაშა და ამ ორივე წარმოდგენა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მყურებელზე.

„უკანასკნელის“ ქართულ სცენაზე დადგმის ეს ფაქტი განსაკუთრებით აღინიშნება ქართული თეატრის ისტორიაში, როგორც გაბედული გლამჟიკეა ცარიზმის წინააღმდეგ. ეს იყო შედეგი იმისა, რომ ქუთაისის თეატრში სუფევდა რევოლუციური ტრადიციები, თანგრავლი ლადო მესხიშვილის მიერ, თავისი ხელმძღვანელი მიხეილ ქორელი და დასი ამ ტრადიციებზე იყო აღწრდილი.



საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მაქსიმ გორკის დრამატურგია თბილისის მასუბრებელს პირველმა კოტე მარჯანიშვილმა გააცნო. მარჯანიშვილი გორკისა და მისი შემოქმედების უდიდესი პატივისმცემელი იყო. მან ერთ-ერთმა პირველმა დადგა რუსულ სცენაზე მისი ნაწარმოებები.

1932 წელს კოტე მარჯანიშვილმა თბილისის რუსულ დრამატულ თეატრში დადგა მ. გორკის „უსეკრუტე“. ამ წარმოდგენით გახსნა თბილისში მუდმივო რუსული დრამატული თეატრი, რომელსაც ამჟამად ა. გრიბოედოვის სახელი აქვს მიკუთვნებული. (იქვე აღვნიშნავთ, რომ შემდგომ წლებში ამ თეატრმა უწევინა მაქსიმ გორკის თითქმის ყველა დრამატული ნაწარმოები).

ქართულ საბჭოთა სცენაზე მ. გორკის ნაწარმოებთა დადგმის პირველობა ქუთაისის თეატრს ეკუთვნის. 1939 წელს ამ თეატრის სცენაზე ნაჩვენები იყო მ. გორკის „მტრები“ (დადგმა გ. სულთაშვილისა). 1941 წელს ფოთის თეატრმა უჩვენა მ. გორკის „მზის შვილები“ (დადგმა თ. ლორთქიფანიძისა). 1946 წელს გ. ერისთავის სახელობის გორის თეატრმა წარმოადგინა მ. გორკის „ევას უელდუნოვა“ (დადგმა ს. ვაჩიანიძისა). ვასა უელდუნოვას როლი ბრწყინვალედ შეასრულა მსახიობმა თამარ აბაშიძემ. მისივე მოწაწილეობით „ევას უელდუნოვა“ დადგმული იყო 1950 წელს ა. წერეთლის სახელობის ქიათურის თეატრში (დადგმა პ. ფრანგიშვილისა და მ. ვაშაძისა).

1951 წელს რუსთაველის სახელობის თეატრმა უჩვენა მ. გორკის „მტრები“ (დადგმა ა. ვახაძისა). თეატრის კოლექტივმა დიდი სიმართლით გამოხატა კაპიტალისტური საზოგადოების კლასობრივი წინააღმდეგობანი, რომელიც ასე მკაფიოდ არის აწერილი მ. გორკის ამ საუკეთესო ნაწარმოებში. სოხუმის ქართულმა თეატრმა 1952 წელს წარმოადგინა მ. გორკის „მდაბიონი“ (დადგმა ს. ჭელიძისა). ნილის როლს ასრულებდა მსახიობი ზურაბ ლაფერაძე, ლ. მესხივილის სახელობის ქუთაისის თეატრში 1953 წელს „მზის შვილები“ იქნა დადგმული (დადგმა ვ. ყუშიტაშვილისა და თ. ლორთქიფანიძისა). ამავე წელს ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის თეატრში ნაჩვენები იქნა „ევას უელდუნოვა“ (დადგმა შ. ბასიაშვილისა). უელდუნოვა, როგორც შესანიშნავად ასრულებდა მსახიობი ნუნუ თეთრაძე.

1954 წელს „ევას უელდუნოვა“ წარმოადგინა რუსთაველის სახელობის თეატრმა. ამ დადგმაში როლებს ბრწყინვალედ ასრულებდნენ თამარ ჭავჭავაძე (უელდუნოვა), ალექსანდრა თოიძე (რამელი), აკაკი ვასაძე (პროხორი), გიორგი დავითაშვილი (სერგეი პეტროვიჩი) და სხვ.

1956 წელს გ. ერისთავის სახელობის გორის თეატრმა უჩვენა მ. გორკის პიესა „ბიკოვები“ (დადგმა ს. ვაჩიანიძისა).

1957 წელს „უსეკრუტე“ წარმოდგენილი იქნა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში (დადგმა ლ. იოსელიანიძისა).

და ბოლოს მიმდინარე წლის დასაწყისს გ. ერისთავის სახელობის გორის თეატრმა წარმოადგინა „მდაბიონი“ (დადგმა ლ. იოსელიანიძისა).

მ. გორკის ნაწარმოებები თავის სასწაულო რეჟერტურში მულად მქონდა და აქვს რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტს ნაწყვეტების სახით და მთლიანად.

1945 წელს გ. ტოვსტონოვოვმა სტუდენტთა მონაწილეობით დადგა „მდაბიონი“.

შემდეგ წლებში დადგმული იქნა: „უკანასკნელი“, (დ. ალექსიძე, 1947), „ევას უელდუნოვა“ (ა. მიქელაძე, 1949), „მზის შვილები“ (დ. ალექსიძე, 1950), „უკანასკნელი“ (დ. ალექსიძე, 1953), „მზის შვილები (ა. გამსახურდია, 1958), „ევას უელდუნოვა“ (დ. ალექსიძე, 1959), „სოხუცი“ (კ. პატარაძე, 1959), „უსეკრუტე“ (გ. ანთაძე, 1962), „უსეკრუტე“ (ნ. გარაძე, 1964), „მდაბიონი“ (ი. კაკულია, 1964), ა. მიქელაძემ დადგა მ. გორკის „ჩელიკაშის“ ინსტიტრება, რომელიც თითონვე დაწერა.

ქართული საბჭოთა თეატრი კიდევ არა ერთხელ მიმართავს მაქსიმ გორკის დრამატურგიას, როგორც მაღალხატვრული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშს.

გ. ბუნენიაშვილი

გორკისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში გაიმართა დიდი რუსი მწერლის მამსიმ გორკის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სესია, რომელიც მოაწვეს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურმა ინსტიტუტმა.

სამეცნიერო სესია შესავალი სიტყვით გახსნა თეატრალური ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა ი. თაყაიძემ.

მოხსენება „მ. გორკი და მარჯანიშვილი“ — გააკეთა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა, დოცენტმა ე. გუგუშვილმა. „გ. ტოვსტონოვოვის მუშაობა საკიტატულ „მდაბიონზე“ თეატრალურ ინსტიტუტში“ — ასეთი იყო ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ნ. ჟურუშაძის მოხსენების თემა.

„მ. გორკის პიესების ქართული თარგმანების ზოგერთ საკითხზე“ — ილაპარაკა დილოლოგიის მკვნიერებათა კანდიდატმა თ. გოციელმა, ხოლო გორკია და საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე — თეატრალური ინსტიტუტის უფროსმა მასწავლებელმა ვ. გოგიძემ.

„მლაბიონი“ გორის თეატრი

თეატრალური საზოგადოების კლანი

მაქსიმ გორკის საიუბილეო გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაყურებელს წარმოუდგინა საბჭოთა ლტერატურის ფუძემდებლის პიესა „მლაბიონი“ (თარგმანი ალ. მიქელაძის).

რეჟისორმა ლ. იოსელიანმა სცენას არ ჩამოაგდარა ტრადიციული ფარდა. მაყურებელთა დარბაზში შესვლისთანავე ბესსემენოვების ოჯახში ხვდებით. შუქის საქრობამდე შესცქერით ამ ოთახს და რეჟისორისა და მხატვრის (შ. ხუციშვილი) ნაწარვის მეზობელი ეცნობით მის ბინადართა ცხოვრებას. ავეჯით, მათი განლაგებით თქვენ უკვე სწვდებით ოჯახის ბინადართა სულიერ სამყაროს, ეს ერთგვარი საქსპორტიკო ნაწილია სპექტაკლისა, რომელიც თავიდანვე პიესის შესატყვის ატმოსფეროს ქმნის.

დარბაზში მქდომი ადამიანი გულგრილად ვერ ლუჯრებს გორკის ამ პიესას. ნაწარმოებში გამოკვეთილ ავტორისეულ იდეურსა თუ სიუჟეტურ ხაზს სახვებით სწორ სცენურ ინტერპრეტაციას აძლევს დიდი იოსელიანი. რეჟისორი ცდილობს გორკის ეს პიესა თავისი მიზანდასახულობით იყოს არა მხოლოდ მჭირფავი ლტერატურული განძის სცენური ვარიანტი, არამედ ნაწარმოები, რომელიც თანამედროვეობის საკითხებსაც ემსახურება და დღესაც არ დაუკარგავს თავისი მიზნუნდობა. ამიტომაცაა, რომ სპექტაკლი გადაეღებებს.

წარსულის გადმონათობები ჯერ კიდევ ცოცხლ იხვენ. ბესსემენოვების ოჯახის წევრების მხვავის დღემანაში, მომხვეჭმლობის სენით დაავადებულნი დღესაც მოიძებნებიან. ეს გარემოება შესანიშნავად გაიკეთლისწინა ლ. იოსელიანმა პიესის სცენური ინტერპრეტაციის დროს და აქტუალთა მთელი დასის უყრადღება სწორედ იმ მხარე წარმართა, რომ სპექტაკლი ძლიერი სქტუალური უდრადლობისა უოფელოყო.

მსახიობებმაც სწორად აუღდეს ადლი რეჟისორულ ჩანაფიქრს. სხვანაირად მწელი იქნებოდა სცენურად ისეთი ძლიერი ტიპური სახის შექმნა როგორცაა ვ. კახიანიშვილის პერჩიხინინი. ასევე ძლიერაა მ. დათუნაშვილის ვასილი ბესსემენოვი. ვასილი ბესსემენოვის სახე ერთი შეხედვით საქამოდ უბრალოა, მაგრამ თუ მას დრმად ჩავეწვდებით, ვნახავთ, რომ იგი ბევრისმომცველია. მ. დათუნაშვილმა წარმოგვიდგინა ადამიანი, რომელსაც მთელი ცხოვრება შრომაში გაუტარებია და ამხვეე მოითხოვს სხვებისგანაც. ქ. ბოქორიშვილის აკულინა მსახიობის წარმატებოთუნდა ჩათვალოს, რადგან მან შექმნა კარგი სახე დამწებულთა და წყნარის დიასახლისისა.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა მსახიობის ა. გვაძაიას (პეტრე) წარმატება. ჩვენ დავინახეთ მზარდი მსახიობი, რომელსაც უნარი შესწევს სხვადასხვა ხასიათის როლებში გამოიჩინოს თავი. ჩვენ დაწერილებით ვერ შევჩერდებით სხვა მსახიობთა თამაშზე, მაგრამ იმას კი ვიტყვით, რომ ყველა მსახიობი მოწოდების სიმაღლეზე დგას და ყურადღებას იქცევს.

გურამ ბათიაშვილი

27 მარტს საქართველოს კულტურის სამინისტრომ და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ჩატარეს თეატრის მე-7 საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო აღენუმი.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ.

— წინა პლენუმის შემდეგ — თქვა დ. ანთაძემ — ჩვენ რიგებს გამოაკლდა ორი მოღვაწე — პრეზიდენტის უცვლელი წევრი — მწერალი შალვა აფხაიძე და გამგეობის წევრი შოთა სალუქვაძე. პლენუმის მონაწილენი ფეხზე ადგომით პატივს სცემენ გარდაცვლილთა ხსოვნას. შემდეგ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგიულმა გიოზ იაკაშვილმა მოხსენებისათვის სიტყვა მისცა დოდო ანთაძეს.

დოდო ანთაძემ თავის მოხსენებაში ილაპარაკა თანამედროვე თეატრის განვითარების აქტუალურ საკითხებზე, მსოფლიოს თეატრალურ მოღვაწეთა პრობლემე ჰუმანური და პროგრესული თეატრალური ხელოვნებისათვის. შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ წელს თეატრის საერთაშორისო დღე დიდი რუაი მწერლის მაქსიმ გორკის იუბილეს ემთხვევა. მომხსენებელმა ილაპარაკა მაქსიმ გორკის დიდ დამსახურებაზე თეატრალური კულტურის განვითარებაში, გორკისა და კოტე მარჯანიშვილის მეგობრობაზე.

თანამედროვე თეატრალური ხელოვნებაზე, ქართული თეატრის საკირობოროტო საკითხებსა და თეატრის საერთაშორისო დღეზე ილაპარაკეს კმათში გამოსულმა ამხანაგებმა: აჭარის ასსრ კულტურის მინისტრმა ლანარა ბოლქვაძემ, ქიათურის აკაი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ითარ ალექსიშვილმა, ქუთაისის ლალი მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორმა დიდიმ ქეიშვილმა.

დოდო ანთაძემ პლენუმის მონაწილეთ მონაწილეთ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სპექტაკლების დათვალიერება-კონკურსის ჩატარების შედეგებზე, რომელიც საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ

და თეატრალურმა საზოგადოებამ ჩაატარეს. კონკურსში მონაწილე თეატრებიდან, — განაცხადა დ. ანთაძემ, — არც ერთს არ უყვინებია 2 სპექტაკლზე ნაკლები, ხოლო ზუკდიდის, ჭიათურის, ბათუმისა და თელავის თეატრებმა წარმოადგინეს ექვსი-რვა სპექტაკლი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ დათეატრალურ-კონკურსმა თავისი დადებითი გავლენა იქონია თეატრების პროფესიულ ზრდაზე, მათს შემოქმედებით წარმატებულზე.

კონკურსში გამარჯვებულთა და დაჯილდოებულთა სია წაიკითხა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თეატრებისა და მუსიკალურ დაწესებულებათა სამმართველოს უფროსმა შალვა კილოსანიძემ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების საპატიო სიგელით დაჯილდოვდა 11 თეატრი, მსახიობები, რეჟისორები და დრამატურგები 21 კაცი; შემოქმედებითი მივიღებთ დაჯილდოვდა 11 კაცი, მათს საათით — 47 კაცი, ჰედური ხელოვნების ნიმუშებით 11 კაცი, ტელევიზორებით 6 თეატრი.

თ. ბაიბიძე

ზაიმიტ ალინიზა

წილს აღინიშნა 118 წელი განახლებული, რეალისტური ხელოვნების პრინციპებზე დაფუძნებული ქართული თეატრის დაბადებიდან. საუწყებ და თითქმის ორი ათეული წელი გავდა მას შემდეგ, რაც თბილისის გიმნაზიის შენობაში ხელახლა იშვა პროფესიული ქართული თეატრი.

ქართული თეატრის 118-ე წლისთავი იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ რამდენიმე თვით ადრე ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა ორი ახალი დრამატული თეატრი — მესხეთისა და რუსთავის თეატრი.

ქართული თეატრის აღორძინების დღეს, 14 იანვარს საქართველოს თეატრალური საზოგადოების ინიციატივით თბილისის პირველ საშუალო სკოლის შენობაში (ყოფილი ვაჟთა პირველი გიმნაზია) თავი მოიყარეს ქართული თეატრის მოღვაწეებმა.

ქართული თეატრის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სიგელი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ. სიტყვები წაუმოთქვას და ქართული თეატრის ვარდასულ დღეებზე ილაპარაკეს უხუცესმა მსახიობებმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა ც. ამირჯიანმა და ვ. ნინიძემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, ქუთაისის ლ. მესხივილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ა. ვასაძემ, რუსთავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ლორთქიფანიძემ, საქართველოს მწერალთა კავშირის მიღვანმა, კრიტიკოსმა ბ. ქლდიაშვილმა.

მიმდინარე წლის 19 იანვარს მოეწყო საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და მისი აქტივის შეხვედრა განაშლის სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუსიკის თავმჯდომარეებთან.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა მუხუმბის მეცნიერული პრობლემატიკის განყოფილების გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ე. ჩოლოყაშვილმა.

შეხვედრაზე, რომელიც გულთაღ მეგობრულ ატმოსფეროში ჩატარდა, ორი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მიღწევები, ილაპარაკეს იმ ღონისძიებებზე, რომლებიც სასურველია ერთობლივად ჩატარდეს.

შემდეგ ქართული თეატრის დღის — 14 იანვრის მნიშვნელობაზე და თეატრალური ხელოვნების ამოცანებზე ილაპარაკა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ბუნსიაშვილმა. მან მოკლედ მიმოიხილა ქართული თეატრის განვითარების გზა, აღნიშნა ის დიდი მიღწევები, რომელიც მოიპოვა ქართულმა თეატრალურმა ხელოვნებამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

— თუ რეგულირდება, — განაცხადა გ. ბუნსიაშვილმა, — საქართველოში არსებობდა ორივე თეატრი, რაც, ცხადია, ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნებს, დღეისათვის ჩვენს რესპუბლიკაში არსებობს 22 სახელმწიფო თეატრი. არსებობს აგრეთვე 34 სახალხო თეატრი და ათასობით თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივი, რომელიც რეპერტუარშიც შეტანილია არა მარტო ქართული ავტორების, არამედ საბჭოთა კავშირის მომხრე რესპუბლიკებში გლასკოური და თანამედროვე დრამატურგიის ნიმუშები. ქართული თეატრების დღევანდელი რეპერტუარი ფართოდ ასახავს ჩვენს მრავალფეროვან ცხოვრებას.

შეხვედრაზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, მწერალი ე. ქარელიშვილი, თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე გ. იაკოშვილი, პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივანი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ჩხეიძე, მუხუმბის მეცნიერ მუშაი, პოეტი შ. ლომსაძე.

დასასრულს სტუმრებმა დაათვალიერეს მუხუმბის ექსპონიცია და ძვირფასი სავანტურის განყოფილება.

5. კავშირები

მეორე განყოფილებაში სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. გომიშვილმა შესრულა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, შემდეგ ნაჩვენები იქნა ნაწყვეტები ქართული თეატრების საუკეთესო სპექტაკლებიდან. გორის გ. ერისთავის სახელობის თეატრმა წარმოადგინა ნაწყვეტი გ. ერისთავის პიესიდან „ვაკარა“, რუსთავის თეატრმა — სცენა ვ. კორსისტილოვის პიესიდან „ანი წლის შემდეგ“, რუსთაველისა და მარკანიშვილის სახელობის თეატრებმა — ნაწყვეტები სპექტაკლებიდან „გვადი ბიგვა“ და „წმინდანები ჭოქოხეთში“.

მსახიობი ქალები

მს. ამბაპი დიდი ხნის წინათ იყო. ქალს მარტოოდნ სათუთ, ნახ ქაწილებად თელიდნენ და ოჯახის გარეთ თითქმის ფესს არ ადგემეინებდნენ. აქებდნენ მის სიმშვენიერესა და ერთგულებას, მაგრამ ქალი ქვეყნის საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ საქმიანობაში რომ ჩაებათ, იშვიათ გამოჩაყლის წარმოადგენდა. მიუხედავად, მწერლობასა და სასცენო ხელოვნებაში. როგორც ცნობილია, თეატრში მომუშავე ქალს წინათ უბატონსოდ, ლეჩამოხდომილ ქალად თელიდნენ. იგი შოკლებული იყო საზოგადოების პატივისცემასა და სიყვარულს.

ქართული თეატრი ყოველთვის განიცდიდა ქალების ნაკლებობას. ზოგჯერ ისეც კი ხდებოდა, რომ ქალების რაოდენს შამაქაცები ასრულებდნენ. ამიტომ ძალზე საგულისხმო და დასაფასებელია იმ პირველ ქალთა მოღვაწეობა, რომლებმაც ეპიკურად გაკვალეს გზა ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში. თავდაპირველად აღსანიშნავია უზნაძის ქალი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1854-1855 წლების თეატრალურ სეზონში. შემდგომ წლებში თვალსაჩინო მოღვაწეებად იქცნენ ეფრო კლდიაშვილი, ნატო გაბუნიანი-ცაგარლისა, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ბაბო ავალიშვილი, ეფემია მესხი, ნუცა ჩხეიძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ნინო დავითაშვილი, ნატალია ჭავჭავიშვილი, ელო ანდრონიკაშვილი და სხვანი და სხვანი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ფართო გასაქანი მიეცაო ქალებს. ისინი იქცნენ საზოგადოების თანასწორუფლებიან წევრებად. გაცხსნათ გზა სწავლისა, მეცნიერებისა და ხელოვნებისა. ახალმა ეპოქამ ახალ-ახალი გამარჯვებები მოიტანა. აშენდა მრავალი თეატრი და ქართული ქალს მიეცა სრული საშუალება იმისა, რომ უფრო მეტად გამოემტკიცებინა შენიჭებულბითი გაქანება და შინაგანი ცეცხლი.

კოტე მარჯანიშვილის ცეცხლოვანმა ტემპერამენტმა არა ერთსა და ორ საბჭოთა მსახიობი ქალის შემოქმედებას მისცა დასაბამი. აი, თუნდაც თამარ ჭავჭავაძე. რომლის არტისტიკულმა ძალამ ვულკანისებურ იფეთქა. თამარ ჭავჭავაძის მიერ შესრულებულმა ლაუარენსიამ პეროკული ხასიათი მისცა მსახიობი

ქალის მოლიან შემოქმედებას. ეს იყო სამხრეთელი მშობი აელვარებული და უდიდესი შინაგანი პოტენციით გამოხატული არტიტიზმი, რამაც წარუშლელი კვალი დატოვა ქართული თეატრის ისტორიაში. თამარის მიერ შესრულებული როლების გალერეა შეესო ისეთი ცოცხალი და ნათელი სცენური სახეებით, როგორცაა სალომეა, ბეატრისა ჩენჩი, ზეინაბი, ემილია, გონერია, ვასა ექვენსოვა, იოკასტა, ოთარაანთ ქერივი, მადამ სან-ჟენი, სანათა, ოქსანა, პელაგია ნილოვანა და სხვა მრავალი. მის შესრულებაში მაყურებელს ყოველთვის ხიბლავდა მეტყველების მკაფიობა, ტემპერამენტი, ღრმა შინაგანი განცდის უნარი.

მომდევნო წლებში არანაკლები სიძლიერით აელვარდა ქართული საბჭოთა სცენა მეორე ვარსკვლავი ვერიკო ანჯაფარიძის სახით. ვ. ანჯაფარიძის ივდიტმა გამოამეღავენა მსახიობის ბუნებაში უხვად ჩაქსოვილი პოეტურ-რომანტიკული სული, რამაც ერთიანად განაპირობა მისი შემდგომი მოღვაწეობა. მსახიობის მიერ განსახიერებულმა დრამატულმა სახეებმა: ოფელიამ, დეზდემონამ, კლოპატრამ, მარგარიტა გოტიემ, გინატრემ, ცაბუმ, დარეჯანმა, ლარისამ. მარია სტიუარტმა, ბებია ეუხენამ და სხვებმა, მრავალრიცხოვან მაყურებელთა გულგებში უმაღლესი საპატიო ადგილი და საყოველთაო სიყვარული და სიმპათია დაიმსახურეს მსახიობი დიდი შინაგანი განცდიტა და ღრმა ტემპერამენტით ძერწავდა ყოველ სახეს. მათში ყოველთვის იგრძნობა მალაღი სიყვარული კულტურა, ქართული თეატრის რეალისტური ტრადიციების შერწყმა რომანტიკულობასთან.

ქართული საბჭოთა თეატრალური კულტურა თანდათან იზრდებოდა და მრავალფეროვნდებოდა ჩვენი სასიქადლო ქალების სახელებით. დღემდე განუთმეორებელ სცენურ სახედ რჩება ე. წუწუნავას მიერ ბრწყინვალედ განსხეულებული დარეჯანი „კაცია-აღამიანში“. მსახიობმა ამ სპექტაკლში შესანიშნავი პარტნიორობა გაუწია ვასო გომიანურს და მასმა დარეჯანმა ლუარსაბიან ერთად უკვდავება მოიპოვა ჩვენი თეატრის ისტორიაში. მრავალფეროვანი და საინტერესოა ს. თაყაიშვილის მიერ გავლილი შემოქ-



მედებითი გზა. ინდივიდუალური ხელწერით გამოირჩევა მის მიერ შექმნილი ქრისტიანე, გვირისტიანე, ოვულალოვა, კატარინა, ელისა-ზედ დედოფალი... საყოველთაო პოპულარობა მოიპოვა მისმა ბებია — ნ. დუმბაძის ცნობილი ნაწარმოების „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ გმირმა როგორც თეატრში, ისე კინოში.

ჩვენი თეატრის ისტორიის ფურცლებს ნიემატა ისეთ ოსტატ ქალთა სახელები, როგორცაა თ. წულუკიძე, ნ. მაჭავარიანი, თ. ლენიაშვილი, ირ. დინაური, მ. ერგნელი, ალ. თოძე, გ. კუბრაშვილი, თ. თვალაშვილი, თ. ბაქრაძე, ნ. ლაფაჩი, მ. დავითაშვილი, ბ. ბერიძე და სხვ. მათ მიერ ნათქვამმა ახალმა სიტყვამ ახლებური ელვარება მიანიჭა ქართულ თეატრს, ახალი სივრცეზე შთაბერა მას და ერთიორად დარაზმა ხალხს სამსახურისათვის. ამ თაობის მსახიობ ქალებს სასახელოდ უმწვენებენ გვერდს მომდევნო თაობათა წარმომადგენლები — ლ. ვაჩნაძე, მ. თბილელი, ს. ყანჭელი, მ. ჩახავა, მ. ჯავახრიძე, თ. და ნ. თეთრაძეები, ე. დუგლაძე, ელ. საყვარელიძე, ე. ყიფშიძე, ნ. ბეროზაშვილი, ფ. შედანიას, თ. ბურბულაშვილი, თ. სულხანიშვილი, ვ. ნეფარიძე, ნ. ზალდატანიშვილი, ნ. ვრიაშვილი, ქ. კიკნაძე, მ. ზიზილეიშვილი, ნ. საყანდელიძე, ი. ტყეაძე, ლ. ძიგრაშვილი, ზ. კერენჩხილაძე, მ. მაღლაკელიძე, მ. მირიანაშვილი, მ. სიხარულიძე და სხვანი.

უკანასკნელ თეატრალურ სეზონებში ჩვენს თეატრალურ აფიშაზე გამოჩნდა ახალგაზრდა ხელოვან ქალთა: თ. ლასხიშვილის, ს. ჭიაურელის, ი. გვიგოშვილის, ი. ბოკუჩავას და სხვათა სახელები. აღსანიშნავია, მსახიობური ოსტატობით განსახიერებელი ს. ჭიაურელის რაფაელის როგონი, ი. გვიგოშვილის აბიგაილი („სელიემის პროცესი“), ი. ბოკუჩავას ფატო („კახაბერის ხმალი“).

მაგრამ განა მარტო მსახიობმა ქალებმა ისახელეს თავი. ქართულ რეჟისურაში ცნობილია პირველი ქართველი რეჟისორი ქალი გამრეკელი-თორელი. მან საუკეთესო მაგალითი უჩვენა თავის ამხანაგებს. თურმე ქალსაც მამაკაცის თანატოლად შეუძლია საინტერესო სპექტაკლების შექმნა. მოგვიანო წლებში ქართული თეატრალური რეჟისურის ისტორიის ფურცლებზე უკვე ვხედავთ ლ. იოსელიანს, ნ. ეშბას, ნ. ხატისკაცს, ნ. დემეტრაშვილს... ესენი საკუთარი ხელწერითა და შემოქმედებითი ფაქტობის მრავალფეროვნებით ჰქმნიან ისეთ მხატვრულ წარმოდგენებს, რომელთა ესთეტიკური ღირებულება თამამად უთანასწორდება მამაკაცთა მიერ შექმნილ სპექტაკლებს. ჩვენი რეჟისორი ქალები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მოღვაწეობენ. ისინი ამაყად დგანან მამაკაცთა გვერდით და მუყაითი შრომით ყოველდღე თითო სასარგებლო ავტოს სდებენ ქართულ თეატრის შემდგომი აღმავლობისათვის.

ნაზი ელიაშვილი

**პრცელი გზა
და
ლილი პერსპექტივაები**

მს მოხდა ერთი საუკუნის წინათ. მწერალმა ანტონ ფურცელაძემ ზუგდიდში, ადგილობრივი ძალებით, დადგა მოლიერის კომედია „ქალად ექიმი“. აღნიშნული თარიღი — 1868 წლის აპრილი ზუგდიდის თეატრის ლილი გზის დასაწყისია.

თეატრი კი დაიბადა, მაგრამ მის ზრდა-დავითებისას და ხელოვნების სრულყოფილ კერად გადაქცივის საქმეს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიეძევა საჭირო ყურადღება.

ზუგდიდელ მაყურებელს ასოსუნ ბევრი საინტერესო სპექტაკლი. დროთა ვითარებაში შეიქმნა პროფესიული რეჟისურა, მსახიობთა მთელი რაზმი.

აქ, სხვადასხვა პერიოდში, მოვარ რეჟისორებამ დაუშაბდნენ ვახტანგ ვარცი, სოსო ვიციძე, მიხეილ ქორელი, ვასილ ყუშიტაშვილი, შოთა გვაზავა, ვაქ-

ტორ მქედლიძე გიორგი გაბუნია, ბუხუტი მალაყალიძე.

ბოლო წლებში ბევრი კარგი დადგმა განახორციელა ახალგაზრდა რეჟისორებმა ნოდარ დვისიძემ და თემურ ჩხეიძემ.

თეატრის კოლექტივი ახალი ენერგიით ემზადება ასი წლისთვის იუმბილესათვის. გაიხსნება „საუკუნის თეატრის მუზეუმი“. გამოფენისათვის უკვე შეგარბულია 2000-მდე ექსპონატი.

მიმდინარე სეზონში შალვა დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის სცენაზე დაიდგა აკაკი ვეფხისტყაისის „წმინდანები ჯოჯოხეთში“, ალ. სამსონიას „ძველი ქოლგა“ და „ჩემი შვილი სიმონი“.

მაყურებელმა გულობილად მიიღო სპექტაკლი „წმინდანები ჯოჯოხეთში“, რომელიც დადგა თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა, ახალგაზრდა ხელოვანმა, ზუგდიდის თეატრის მთავარმა რეჟისორმა დავით კობახიძემ.



პრტი სუჟენე ხალხის სამსახურში

ანდი წლის წინათ, 1868 წელს ოზურგეთში პირველად გაიმართა სცენისმოყვარეთა წარმოდგენა. ამავე წლის 8 მარტს ნომერში გაზეთმა „დროებაში“ აღნიშნა ეს ფაქტი: „ოზურგეთში ქართული წარმოდგენა მომხდარა აქაურ სკოლის შესწავლენად. სამწუხაროდ ამ წარმოდგენაზე დაწვრილებით არა ვიცით რა“. როგორც ვხედავთ, წარმოდგენა საქველმოქმედო მიზნით გამართულა, მაგრამ ჩვენთვის უცნობია სახელდობარ რა პიესა დაიდგა, ან ვინ მონაწილეობდა მასში.

ამის შემდეგ 90-იან წლებამდე ოზურგეთში დრო-გამოშებით იმართებოდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენები, ისევე საქველმოქმედო მიზნით, უმთავრესად სკოლების და ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. აქ აღმკვიბიდა მეტწილად კომედიები და ვოდევილები, კერძოდ გ. ერისთავის და ა. ცაგარის ნაწარმოებები „გაყრა“, „ძუღწი“, „უჩინამაჩინის ქული“, „ხანუმა“, „ბიჟუში“ და სხვ.). ოზურგეთის სცენისმოყვარეები უმთავრესად ადგილობრივი მასწავლებლებისაგან შედგებოდა. ესენი იყვნენ: ნ. ანთიძე, ე. ჭიჭინაძე, ნ. ჭყავილი, მ. ლომთათიძე, ა. ბებურიშვილი, ო. ხუბრიძე, დ. ჩიკოვანი, თ. გოგიტიძე, ი. დემურაძე, პ. ალბორიშვილი, ი. დლიობტი და სხვ.

მეტად საინტერესოა სცენისმოყვარე ქალის ატაკო ბებურიშვილის მოღვაწეობა. როგორც მაშინდელი პრესიდან ვეგებულობთ, იგი ყოფილა იშვიათი კოჩიკური ნიჭით დაჯილდოვებული, წარმოდგენებში მონაწილეობისთან ერთად დიდი ტემპერამენტით კიბუხობოდა თურმე თავისსავე დაწეროლ ლექსებს და გუბრულ სცენებს გასათხოვარ ქალებზე და მამაკლებზე („სიხეარული“, „ქალი მყავს გასათხოვარი“, „თქვენ

ციცას გავთხოვებთ“ და სხვ.). ა. ბებურიშვილის მიერ განსახიერებელი როლებიდან განსაკუთრებით აქვნიან ხანუმას და გადაის (ვ. გუნიას პიესაში „და-ძმა“). მოკვიანებით ოზურგეთის სცენისმოყვარეებს შეუერთდა სამსონ ხურციძე (შემდეგში სსსრ დამს. არტისტები).

90-იანი წლებიდან იწყება ოზურგეთის თეატრალური ცხოვრების ერთგვარი გამოცოცხლება, ამ რანგში თეატრალურ მოღვაწეობას იწყებენ ოზურგეთის საქალაქო სასწავლებლის მოწაფეები ალექსანდრე წუწუნავა და ვასო ურუშაძე, რომელთაც დიდი ამაგი დასდეს ოზურგეთის თეატრალურ ხელოვნებას. „პაწა არტისტი“, როგორც მათ ეძახდნენ ოზურგეთელნი, მეცნიერად კომიკურ როლებს ასრულებდნენ, კითხულობდნენ სხვადასხვა სცენებს და მღეროდნენ კუმედტებს როდესაც ისინი თბილისში გადავიდნენ სასწავლებლად, ყოველ ზაფხულს ჩაილიდნენ მშობრული ქალაქში და მართლდნენ წარმოდგენებს. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო 1899 წელს მათ მიერ გამართული სცენისმოყვარეთა წარმოდგენები ოზურგეთსა და ბაზმაროში, რომელთა რიცხვმა მთელი ზაფხულის განმავლობაში 14-ს მიაღწია. ამ სექტაკლებში მონაწილეობდნენ: ეველინა წუწუნავა, მარო მდივანი, ოლდა ხურციძე, ლევან მირიანაშვილი, სამსონ ხურციძე, ნიკო ბებურიშვილი, თეოფილე გვაიტაძე და სხვ. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მათ შორის ეველინა წუწუნავა — მეტად ნიჭიერი ქალი, რომელიც შემდეგ ქართულ თეატრში მოღვაწეობდა და სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა 1916 წელს.

შემდეგშიც, როდესაც ცნობილი რეჟისორი გახდა, ა. წუწუნავა მაინც არ იფიწყებდა მშობლიურ ქა-

მირიანისა და მაის როლები წარმატებით განაახრებენ ვერამ წერეთელმა და ზემფირა გუნიაშ.

მაყურებელთა მოწონებას იმსახურებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: ქეთევან ესეხუა, ალექსე კვიციანი, შალვა მოსია და ალექსანდრე როგავა. შალვა მოსია ათეული წლების მანძილზე ბურჯანისა და ზუგდიდის თეატრს. ასევე იქმნის ალექსანდრე როგავაშვიც.

თეატრში მოვიდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები. ესენი არიან დამგარა გოგიჩაიშვილი, გუგამ წერეთელი, პეტრე წულაია, ნელი კანტურია, ზემფირა გუნია, მზია ტოგონიძე, ბადრი ცომაია, ვიორჯი ახვლედიანი, ოთარ ქუჩუციძე და სხვები.

არ შეიძლება ქებით არ მოვიხსენიოთ მხატვრების იუსტიას პეტროვილის და გივი გაბისონის შემოქმედებითი შრომა. მათ ნამუშევრებში იგრძნობა თემის შეგრძობა და შესრულების თავისებურება.

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი დანიანე გიჟონაია თეატრში დიდი ხნის ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ პენსიაზე გავიდა. პენსიაზე გავიდა აგრეთვე ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პუტტი მალდალავიძე. მაგრამ ისინი არ წყვეტენ კუშარის მშობლიურ თეატრთან და რეკლამებიდან არ ჩამოიღის მათი სახელი.

ამაღდა სექტაკლების იდეურ-მხატვრული დონე, რააც დათრთო მიიზიდა მაყურებელი. ზუგდიდის თეატრის სექტაკლები საზოგადოების საყოველთაო ინტერესით სარგებლობს.

ზუგდიდის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი იბრძვის რევოლუციური რომანტიკის რეპერტუარისადმი, იმისათვის, რომ შეიქმნას დღევანდელი მაყურებლის შესაფერისი დღემები და ბოლო მოელს შტამს — ნამდვილი შემოქმედების მტერს.

თეატრი ჩემი მეორე ოჯახია. ბედნიერებაა, როცა დებულობ ახალ როლს, იწყებ მასზე დიქტს, ექვს და პოულობ გამოსახვის შესაფერ ფორმებს. — ამბობს დამგარა გოგიჩაიშვილი.

— ზუგდიდის თეატრი უყვართ ჩვენს სოფელში — გვითხრა ქკალაუის კოლმეურნეობის თავმჯდომარე აკაკი გედენიძე. — და ამიტომ ყველანი — მენაქერი, მესიმინდები, მეცხოველები — მისი ხმარა სტუმრებია ვართ.

ერდიერებულე ხელოვანი ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის დირექტორი დრამატურგი ალექსანდრე ვეფხია. მისი პიესა „სიციცხლის ტყე“ წარმატებო



ლას და ყოველთვის ხელს უწყობდა ოზურგეთის სცენისმოყვარეებს.

ოზურგეთში წარმოდგენების მართვას ხელს უშლიდა სათეატრო შენობის უქონლობა. სპექტაკლებს უმთავრესად სკოლის შენობაში, ზოგჯერ კი კერძო სახლებში, ზაფხულობით კი ქალაქის ბაღში აგებული ხის დარბაზში, ე. წ. „როტონდაში“ მართავდნენ.

1914 წელს ახალგაზრდა სცენისმოყვარის გერმანუ გოგიტიძის (შემდეგში ქართული კინოს ერთ-ერთი ფუძემდებელი) თაოსნობით აგებულ იქნა სათეატრო შენობა, რომელიც 300-მდე მსუურებელს იტევდა. 1914 წლის 1 ივნისს საზეიმოდ გაიხსნა ეს შენობა. წარმოდგენილ იქნა ა. სუხოვო-კობილინის პიესა „ტრეჩინსკის ქორწილი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო დიდმა ქართველმა მსახიობმა ლალო მესხი-შვილმა.

ამ დროისათვის ოზურგეთში მოღვაწეობდნენ: ცეცილია წუწუწავა (შემდეგში სსსრ სახალხო არტისტი), პელო ქარცივაძე, გერმანუ გოგიტიძე, სამსონ ხურციანი, უარმან ქარცივაძე და სხვ.

სცენისმოყვარეთა ეს წრე შედგებიდაგვარად დროგამოშვებით მართავდა წარმოდგენებს 1920 წლამდე. 1920 წელს წრეს სათავეში ჩაუდგა ქართული თეატრის მსახიობი სოსო უჯიძე, ადგილობრივ სცენისმოყვარეებთან ერთად დასში შედიოდნენ პროფესიონალი მსახიობები: ელენე აბაშაძე და დავით ანდუშელი. ზემოდ ჩამოთვლილ სცენისმოყვარეებს შეენატა: ბუფუტა შავიშვილი, სოფია თოხაძე, მარო შავიშვილი, ბაბუღია შავიშვილი, ევგენია მამულაიშვილი, ნინო ჩიკოვაძე, თამარ ბილისკი, ლიონიდე სიხარულაძე, ნიკოლოზ ლომიძე, ალექსანდრე მალუღარია, აკაკი ლლონტი, ბიძინა წულაძე, სიკო მდუმარი (ამჟამად სსსრ სახალხო არტისტი, კინორეჟისორი) და სხვ.

სცენისმოყვარეთა რეპერტუარში თანდათან მკვიდრდებოდა სოციალური შინაარსის პიესები, კერძოდ: ტ. რამიშვილის „მეზობლები“, შ. ლაღიანის „შენი გირიმე“, ნ. შიუკაშვილის „მეგობრობა“ და კ. ირეთელის მიერ ე. ნინოშვილის მოთხრობებიდან გადმოკეთებული „ქრისტინე“ და „სოფლის გმირები.“

ლალო მესხი — სანკულტურის თეატრში, აგრეთვე ეთაატრში და ზუგდიდში.

ზუგდიდის თეატრს განზრახული აქვს დადგას ეუბა ნახტორიშვილის პიესა „ქინიკაჰა“. რუსთაველის თეატრის ამავე სპექტაკლის ინტერპრეტაციით. ეს ზუგდიდელებს მისცემს საშუალებას მიიწვიონ სერგო ზაქარიაძე, მედია ჩახავა, ერისი მანჯგალაძე, რამაზ ჩხიკვაძე.

ზუგდიდის თეატრში არის „თოჯინების ჯგუფი“, რომელიც საბავშვო ბაღებსა და სკოლებში გასვლით სპექტაკლებსაც აწყობს.

ზუგდიდის თეატრს ვრცელი გზა აქვს გავლილი. მაგრამ მის წინაშე უფრო დიდი პერსპექტივებია გაშლილი. მოვლი კოლექტივი გატაცებით იღწვრის იმითათვის, რომ დარსტულად უპასუხოს თანამედროვე პანორამის გაზრდილ მოთხოვნებსა და თავისი წვლილი შეიტანოს მშობლიური კულტურის გამდიდრებაში.

შალვა შინგულია

ამ წრემ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც განაგრძო მუშაობა. 1921 წლის გაზაფხულზე თეატრის მართვა-გამგობა თავს იდევს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანიზებმა. თბილისიდან საგანგებოდ მიიწვიეს მსახიობი ვიქტორ ნინიძე, დასი ხელახლა დაკომპლექტდა და მიიღო „საქართველოს კომპარტიის გურის კომიტეტთან არსებული კომუნისტური დრამატული წრის“ სახელწოდება, ცოტა მოგვიანებით დასს „ოზურგეთის სახელმწიფო რევოლუციური დრამატული დასი“ ეწოლა.

1922-23 წლის სეზონში მოვიდნენ თეატრში ახალგაზრდა მხატვარი ლალო მალაზონია (ამჟამად სსსრ დასს მხატვარი) და მსახიობი ევტორჯი თალაკვაძე, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე მუშაობდნენ მასხარის თეატრში. ლალო მალაზონია ამჟამად პენსიაზეა, მაგრამ ახლაც თეატრის ყოველდღიურ საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობს.

1924-25 წ. სეზონში თეატრს ხელმძღვანელობდა მსახიობი შ. ბუფუტაშვილი.

საინტერესო იყო 1928-29 წ. წ. თეატრალური ხელოვნობის თეატრს ხელმძღვანელობდა მსახიობი და რეჟისორი პავლე ფრანგიშვილი. მის მიერ დადგმული სპექტაკლები გამოირჩეოდნენ იდეური და მხატვრული სიძლიერით. (ბ. ლავრენივის „რღვევა“, ს. ტრეტიაკოვის „იღრიალე ჩინეთო“, ვ. კირშონის „ლიანდაგი გუბუნებს“, გუგულის და შარლის „კომისარი მისკოვიდან“ და სხვ.).

40-იან წლებში მახარაძის თეატრში სხვადასხვა დროს რეჟისორებად მუშაობდნენ: ნ. კახიძე, სამსონ ხურციანი, ევტ. თალაკვაძე, გელაქიძე რომაძე, პატუ ლოლაძე, გიორგი როსბა, გიორგი კერესელიძე, ვასო ყუშიბაშვილი და ლავრენტი ციციანი.

40-იან წლებში მოვიდნენ თეატრში ნიჭიერი ახალგაზრდა ძალები: შოთა ჩაველიშვილი, ვლადიმერ ბაჭელიძე, ანიკო ანდლულაძე. ამ დროს დასში ირიცხებოდნენ: შ. მოლოჩიშვილი, ქ. კოპალაძე, ს. გელაშვილი, ი. ზურაბიშვილი, დ. დემუროვი, ე. თალაკვაძე, გ. ლომინაძე (ამჟამად სსსრ დამსახურებული არტისტი), ქ. შაქარაშვილი, დ. ჩაველიშვილი, ს. ხურციანი, დ. სიხარულაძე. უფრო მოგვიანებით დასს შეემატნენ ნიჭიერი მსახიობები ს. ცქიტიშვილი, ი. მოლოჩიშვილი და ი. არაბულიძე.

სამამულო ომის წლებში თეატრს ხელმძღვანელობდა რეჟისორი სერგო ახალაძე. თეატრმა მთელი რიგი პატრიოტული შინაარსის პიესები მიუძღვნა სახალხო ომის თემას. ხშირად მართავდნენ საშეგო კონცერტებს.

სამამულო ომის შემდეგ თეატრმა კიდევ უფრო გაამაგებო ყოფრდებმა თანამედროვე შინაარსის რეპერტუარისადმი. ვიზარდა ქართული პიესების ხვედრითი წონა. ამ პერიოდში დაიდაგა პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, გ. შატერაშვილის „რკინის პერანგი“ და „ფიჭვის გორა“, ს. მთვარაძის „სახსოვარი“, გ. ქელბაქიანის „გამოცდები“, ქ. ბერძენიშვილის „ტიტოვის ქვეშ“ და სხვ. 1954 წლამდე თეატრში სხვადასხვა დროს რეჟისორებად მუშაობდნენ: გ. როსბა, ვ. სიხარულაძე, ს. ახალაძე და თედო წერეთელი.

ნარ-დოსის სსოვნის სალამო

1954 წელს მახარაძის თეატრის მთავარ რეჟისორად დაინიშნა თბილისის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ოთარ თლაკვაძე.

50-იან წლებში მახარაძის თეატრში დადგმული სექტაჟებიდან აღსანიშნავია: შ. მრეველიშვილის „ზევი“, ნ. ბარათაშვილის „ჩემი ყვავილეთი“, ვ. კანდელაკის „ამაღლებული სოფელი“, გ. ქუბლაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი“, კ. ბუაჩიძის „მეცაცრი ქალიშვილი“ და სხვ. 50-იან წლების დასაწყისში თეატრში მოვიდნენ ნიჟერიის მსახიობები — ლამარა თურმანიძე და მადლენა დონაძე.

1958 წელს მახარაძის თეატრი თბილისს ეწვია ხავასტროლოდ. 26 მარტიდან 7 აპრილამდე თეატრმა თბილისელ მაყურებელს უჩვენა სეზონის საუკეთესო დადგმები: გ. ბერძენიშვილის „დაქრილი არწივი“, ვ. ანაბელის „ქვიციქი“ და ს. ლორიაის „მეველული“ გასტროლებმა წარმატებით ჩააბარა.

1962 წელს თეატრის მთავარ რეჟისორად მიწვეულ იქნა გ. ლაღიძე. ეს თეატრისათვის საწინიო წელი იყო. 10 მარტს გაიხსნა თეატრის ახალი სეზონი.

1963-64 წ. სეზონის საუკეთესო დადგმებთან ჩაითვლება ნ. დუმბაძის გ. ლორთქიფანიძის „მე ვხედვ მზეს“ (დადგმა გ. ლორთქიფანიძის, მხატ. ო. ლითანიშვილი) და ი. ვაქელიის „აპარაუნი“ (დადგმა გ. ვაქრულიძის, მხატ. შ. დარჩია).

1964 წელს თეატრის მთავარ რეჟისორად ღერო პაქსაშვილი დაინიშნა. ამავე წლის ზაფხულში (20-31 ივნისი) მახარაძის თეატრი კვლავ ესტუმრა თბილისს. თეატრის რეპერტუარი მრავალფეროვანი იყო, და, თითქმის მარტივად აღსანიშნავი შესდგებოდა. პრესაში. მახარაძელთა გასტროლებს თბილისში დიდი წარმატება ხვდა. გასტროლები დააგვირგვინა მცირე თეატრის მსახიობის, რსფსრ სახალხო არტისტის ვიკტორი დორონინის მონაწილეობამ სექტაჟში „მე ვხედვ მზეს“. ამით კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი შეემატა რუსი და ქართველი თეატრალური მოღვაწეების მეგობრობის ისტორიას.

1966 წლიდან მახარაძის თეატრის მთავარი რეჟისორია გურამ აბესაძე, დამდგმელ რეჟისორად მუშაობს თინა შონია, მხატვრად შ. დარჩია. ორი წლის მანძილზე თეატრში დაიდგა ხაქეტის და გულდარჩიის, „ანა ფრანკის დღიური“, ნ. დუმბაძის „მზიანი დამე“, შ. ჭავჭავაძის „უხანამ დიავიანა“ (ინსტ. ლ. ციკარეიშვილისა), ბ. ლავრენციის „რდევია“, გ. კლდიაშვილის „ეთერსხალათიანი ქალიშვილი“ და სხ.

საუბილეთო წლისათვის თეატრის დასის შემადგენლობა ასეთია: ა. ანდლუღაძე (დამხ. არტ.), მაყვალა ბურჭულაძე, მადლენა დონაძე, ლამარა თურმანიძე (დამხ. არტ.), ლუბა კალანდაძე, ოლღა მოლარიშვილი, ეთერ მუჩიაური, ალექსანდრა ცვიციშვილი, გვი ახმეტელი, ვლადიმერ ბაქლიძე (დამხ. არტ.), გიორგი კალანდაძე, მიხეილ კვალაშვილი, ჭემალეიკაყაშაძე, რომან ლომინაძე (დამხ. არტ.), სერა ლომიძე, ვაზო მდინარაძე, როლანდ ნადარეიშვილი, იმარ ურუშაძე, ამირან ქაღვიშვილი, მიხეილ წიგნაძე, დამხ. არტ.), თეატრის დირექტორია სსრ დამხ. არტ. ბენან ნაკიძე.

ასეთია თეატრის მოკლე ისტორია 100 წლის მანძილზე.

ლ. ლაშინა

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, საქართველოს მწერალთა კავშირის სომხურმა სექციამ და შაუბიანის სახელობის სომხური დრამის თეატრმა ა. წ. 18 მარტს დიდი ზეიმით გადაიხადეს დიდი სომეხი ბელეტრისტის ნარ-დოსის (მიქაელ ოვანესიანის) დაბადების 100 წლისთავი.

საუბილეთო საღამო გახსნა თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის პასუხისმგებელმა მდივანმა დავით ჩხეიძემ.

— არიან ადამიანები, — თქვა თავის შესავალ სიტყვაში. ჩხეიძემ, — რომლებიც ყუიანი, ჭიჭი, დიდ ისრავიდან უყვადვებიან, დიდების მწვერვალისაკენ, ლამის სიცოცხლეშივე დაიდგან უყვადვების ძეგლი, მაგრამ ვადის დრო და ისინი დაიწყებენ ენდევინ. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც სულაც არ ფიქრობენ დიდებაზე, უხმაურად, თავდადებით მოღვაწეობენ, მათ სიკვდილის შემდეგ მადლიერი ხალხი „ხელთუქმენელ ძეგლს“ უდგამს.

ასეთი უაღრესად მოკრძალებული, სიტყვაძუნწი, თავზანი და თავდაბალი იყო დიდი სომეხი ბელეტრისტის ნარ-დოსი, რომელსაც არასოდეს არა მკვარებია თავისთავზე საუბარი, იგი მთელი დღე თავჩაქინდებული მუშაობდა ამა თუ იმ ჟურნალ-გაზეთის რედაქციაში, საღამოთი კი დადილი-დაქანცული მიუძღებოდა მავიდას, ღამეებს ათენებდა ლიტერატურულ მუშაობაში.

ნარ-დოსის კალამს ეკუთვნის „მოკლული მტრედი“, „ანა საროიანი“, „სიკვდილი“, „ნუნუ“, „ჩვენი უზანი“, „ბრძოლა“, „უკანასკნელი მოპიანები“ და სხვ.

ნარ-დოსი მიეკუთვნება იმ სომეხ მწერალთა რიცხვს, რომლებიც აღტაცებით შეეგებნენ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას და აქტიურად ემსახურებოდნენ სოციალისტური კულტურისა და ხელოვნებას აუცვებებს.

ნარ-დოსი თბილისში მოღვაწეობდა. მას 1931 წელს დიდი ზეიმით გადაუხადეს სამწერლო მოღვაწეობის 40 წლის იუბილე. ამ დროს საქართველოს მთავრობამ რესპუბლიკის სახალხო მწერლის საპატიო წოდება მიანიჭა.

ნარ-დოსი დაქორწინებული თბილისში, სომეხ მწერალთა და მოღვაწეთა პანთეონში.

მიხსენება მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე წაიკითხა სომხეთის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ს. არუთიანამ. მოგონებებით გამოვიდნენ საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მწერალი ს. აგჩიანი, ჟურნალისტი ბ. დავთიანი, მწერლები ბ. სერიანიანი და ბ. გრიგი.

მხატვრული განყოფილებაში წარმოდგენილი იყო ნარ-დოსის „მოკლული მტრედი“, კონკრეტში მონაწილეობა მიიღო ნარ-დოსის შვილმა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ნარ ოვენესიანმა.

ბაკურიანის დილოგები

წმლს ბაკურიანში მეოთხედ შეიკრება საქართველოს ახალგაზრდული შემოქმედებითი ინტელიგენცია. შეიკრება, რათა თავიანთ ტრადიციულ სემინარზე ესაუბრათ აწმყოსა და მომავლის გზებზე. ეს სემინარი ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა.

სემინარზე თითო დღე დაეთმო ლიტერატურისა და ხელოვნების ცალკეულ სახეობას. თეატრის დღე რიგით მეოთხე იყო. თეატრის დღის სხდომის დაწყებამდე საქართველოს ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდიანმა როინ მებრეველმა სემინარის მონაწილეთ აცნობა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოისმინა ინფორმაცია ახალგაზრდობის სემინარის მუშაობის შესახებ და გამოგზავნა მიმართვა. რ. მებრეველმა წაიკითხა მიმართვის ტექსტი. ასეთმა ყურადღებამ დარბაზში გამოცოცხლება შეიტანა, რომლის ლოგიკური გამოხატულება გულწრფელი ტაში იყო.

თეატრის დღე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა **დ. ანთაძემ**.

შემდეგ მან სიტყვა მოხსენებისათვის მისცა რუსთაველის თეატრის რეჟისორს **ნ. ხატისკაცს**.

მომხსენებელმა ილაპარაკა ქართული თეატრის მდგომარეობაზე, მის წარმატებებსა და ცალკეულ ნაკლოვანებებზე, აღნიშნა, რომ ახლა დიდი ამოცანები დგას თეატრის მოღვაწეთა წინაშე, ისინი საქმეს ფანატიკური სიყვარულითა და თავდადებათ უნდა მოეკიდონ. შემდეგ შეეხო ქართულ დრამატურგიის საკითხებს და აღნიშნა, რომ თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე ჩინებულ პეისას, ქართული დრამატურგია ჯერ კიდევ დიდ ვალშია თეატრისა და მყურებლის წინაშე. ასეთივე ნეგატიური დამოკიდებულება გამოამყვანა მან ქართული თეატრალური კრიტიკის მიმართ. მომხსენებელი შეეხო აგრეთვე მყურებლისა და თეატრის ურთიერთობის საკითხებს.

სწორედ ამ უკანასკნელ საკითხზე საუბრით დაიწყო თავისი გამოსვლა რუსთავის სახელმწიფო თეატრის მთავარმა რეჟისორმა **გ. ლორთქიფანიძემ**.

— არ შეიძლება იმის თქმა, — ამბობს იგი, — რომ მყურებელმა ზურგი შეაქცია თეატრს. თეატრი უნდა ასრულებდეს საზოგადო მოღვაწის როლს, იგი უნდა იყოს ტრეზუნა მოწინავე იდეებისა, ამაღლებულია დიდისა, თეატრმა უნდა იბრძოდეს სრკეთი სათვის და არ მოექცეს წყრილმანი ყოფითობის ნაქუქში.

რ. მებრეველმა თავისი გამოსვლა მიუქცენა რესპუბლიკის ქალაქებში განლაგებული თეატრების მუშაობას და აღნიშნა, რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეთ ამ თეატრებს, რადგან იქ ბევრი ჭეშმარიტი შემოქმედი მუშაობს და ისინი ჩვენი ზრუნვით უნდა გავაზობოთ.

კინორეჟისორმა **დ. რონდელმა** ილაპარაკა ქართული თეატრის პუბლიკური ტრადიციებზე, მოგვონა წარსულის არაერთი საინტერესო ეპიზოდი.

თეატრალური კრიტიკოსი **ვ. კვიციანი** შეკამათა მომხსენებლის მიერ გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას, კერძოდ არ გაიზიარა მისი მოსაზრება დრამატურგიისა და თეატრალური კრიტიკის მდგომარეობის შესახებ: მან ილაპარაკა ჩვენი რეჟისურაზე, მისიობთა ოსტატობაზე; თეატრის ძიებებზე.

არქიტექტორმა **ნ. ჯანბერიძემ** თქვა: ის, რომ თეატრში მყურებელი ნაკლებად დადის კვლავ თეატრის მუშაობა ბრალა ეს. მათ უნდა იბრძოდონ რეპერტუარის შინაარსისა და შემოქმედებითი ოსტატობის დონის ამაღლებისათვის. მწერალმა **გ. ხუხაშვილმა** თავისი გამოსვლა დრამატურგიის საკითხებზე მიუძღვნა. იგი შეეკამათა მომხსენებელს, ვააკრიტიკა მისი მცდარი შეხედულება თანამედროვე ქართული დრამატურგიის შესახებ.

დრამატურგიის საკითხებს მიუძღვენს თავიანთი გამოსვლები კრიტიკოსებმა **კ. იმედაშვილმა** და **ნ. გურაბანიძემ**.

თეატრმცოდნე **დ. მუმლაძემ** ილაპარაკა ქართული თეატრის დღევანდელ დღეზე, გაანალიზა რამდენიმე სპექტაკლი.

თეატრის ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს პოეტმა **ჯ. ჩარკვიანმა**, მხატვარმა **ჟ. მემმარიაშვილმა** და თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტმა **ზ. კახაბარიშვილმა**.

ვიქტორ ნინიძე

დაბადების 80 წლისთავის გამო

პარტულმა თეატრმა ხალხის წილიდან გამოსული ბევრი შემოქმედი იცის, რომელთაც პროფესიული აღზრდა არ მიუღიათ, მაგრამ თავისი ბუნებით მომადლებული მხატვრული ნიჭით თვალსაჩინო კვალი დაუშინვეთი ეროვნული სახელო ხელოვნების განვითარებისათვის. ამთ რიცხვს მიეკუთვნება რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვიქტორ ათანასეს ძე ნინიძე, რომელსაც ოთხმოცი წელი შეუსრულდა, მაგრამ კვლავაც ჰმბუტური სიმხნევით განაგრძობს აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ვიქტორ ნინიძე დაიბადა 1888 წლის მარტს, ასკანში, მისი მშობლები ხელოვლები ცხოვრობდნენ. ვიქტორმა გაჭირვებით მოახერხა ოსურგეთის ოთხთავიანი საქალაქო სასწავლებლის დამთავრება, თხოუმტე-თქვესმეტი წლის გონება გახსნილი ყმაწვილი იძულებულია შინ დაბრუნდეს და მეურნეობას მოჰკიდოს სელი. მაგრამ აქ იგი რევოლუციურად განწყობილ მეზობლებს დაუკავშირდა და მშინათვე არაღვგალურ მუშაობაში ჩაება, უფროსი ახსნაგების დავალებით სოფლებში ირარულად პროკლამაციების გავრცელება დაიწყო. 1905 წლის ოქტომბერში ის უკვე ნასაკორალთან პლასტუნებზე შეიარაღებულ თავდსხმში იღებს მონაწილეობას. ერთი წლის შემდეგ, როცა რეჟიმი წინაშე გამართვა დაიწყო, ვიქტორი ჰიათურაში მიდის და მაღაროებში ეწყობა სამუშაოდ. მისი სათეატრო მოღვაწეობაც ამ პერიოდიდან იწყება. ვიქტორი დაინტერესდა და გაიტაცა ჰიათურის თეატრმა, აქ შეიგარძნო მან პირველად თავისი ნაწვლილი მოწოდება, გაეცნო იმ ხანად ჰიათურაში მოღვაწე ცნობილ რეჟისორსა და მსახიობს ვალერიან შალიკაშვილს და მისი დახმარებით თეატრში მსახიობად მოეწყო. პირველმა წარმატებებმა ვიქტორის საბოლოოდ განუტყუცეს რწმენა თეატრისადმი. თეატრში იოვია ის წმინდათა წმინდა, რომლისათვისაც მზად იყო სიცოცხლე შეეწირა, და აქი მომავალში დაუზოგავად ახმარდა კიდევ თავის ცოდნასა და ენერგიას ამ დიდ ეროვნულ საქმეს.

ჰიათურიდან ვიქტორ ნინიძე ერთხანს გურიაში მიდის და იქ წარმოადგენებს მართავს. 1908 წლის დასასრულს იქ თბილისში გადმოიდის. აქ მისი შემოქმედებითი ნიჭი ფართო სარბიელს პოულობს.

როგორც ცნობილია, 1909 წელს თბილისში, ზუბალოვიცის მიერ აგებული სათეატრო შენობაში მუშაობა დაიწყო სახალხო თეატრმა. აქ თავი მოიპყრეს ნიჭიერმა ძალებმა, ზოგიერთმა პროფესიონალმა და მუშათა უერთების სახელმძოვჭედილმა მსახიობებმა, რომლებსაც საკმაო გამოცდილება და შემოქმედებითი წარმატებები ჰქონდათ მოიყვებულნი. ამ თეატრის სათავეში დგნენ ქართული და რუსული რეალისტური თეატრების ტრადიციებზე აღზრდილი გამოჩენილი რეჟისორები—ალექსანდრე წუწუნავა, კოტე შათირიშვილი, შალვა დადიანი. პირველ დღიდან 1924 წლამდე, ვიდრე ეს

თეატრი არსებობდა, ვიქტორ ნინიძე მისი ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი იყო. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წელს ოსურგეთის სამაზრო პარტიულ კომიტეტის მიწვევით ერთი წლით გურიაში მიდის და იქ თეატრს აყალიბებს.

სახალხო თეატრის დახურვის შემდეგ ვიქტორ ნინიძე, ანტონ ლითანიშვილთან ერთად, ნაძალადევს მუშათა კლუბთან ქმნის დრამატულ კოლექტივს, რომელსაც 1928 წლამდე ხელმძღვანელობს, 1928 წლიდან 1960 წლამდე კი იგი სათავეში ედგა საწვულტურის თეატრს. ვიქტორ ნინიძის ხელმძღვანელობის დროს საწვულტურის თეატრის საკმაო წარმატებითა და მოსულარებით სარგებლობდა.

ვიქტორ ნინიძე ნიჭიერი შემოქმედი იყო. როგორც მსახიობი, იგი უფრადღებეს იქცევდა თავისი გულწრფელობით, მართალი და ზომიერი განცდებით, გარდასახვის მაღლით. მის მიერ შექმნილი მთელი რაგია სახასიათო და კომედიური სახეები წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდნენ მაყურებელზე. მსახიობს იაფუხასანი ეტყატებია არ იტაცებდა, იგი ცდილობდა სასიათის ბუნებას ჩასწვდომოდა და მისი არსი ეჩვენებინა. ვიქტორ ნინიძეს ორასამდე როლი აქვს შესრულებული. აქედან ბევრი პირველხარისხოვანი, საკუტაქლის მთავარი როლი. კონკრეტული წარმოდგენასათვის გაავსენით ზოგიერთი მთავანი: „შემლიანაკა („რევიზორი“), ვიშნესკი („შემოსავლიანი ადილი“), დარისპანი („დარისპანის გასაკორი“), დთია („ქრისტიანე“), ჩიქოვანი („გაეგეკორი“), ნესტორი („შინათონი“), ნიქოლოზე ატაკუბა („სტუმარ-მასხინძობა“), ვიორგი („კაცი სამართლში“), ბერესტი („პლატონ კერჩეტი“) და სხვ.

ვიქტორ ნინიძემ ბევრი გააკეთა როგორც ნიჭიერმა და მდგმულმა რეჟისორმა. დადგმული აქვს 100-ზე მეტი პიესა. დღესაც გვახსოვს მისი შთაბეჭედავი და კარგად გააზრებული, კომპოზიციულად მთლიანი და აქტიორულად ანსამბლური ა. კორნეიჩუკის „პლატონ კერჩეტი“, კ. სიმონოვის „ახეც იქნება“, ტრ. რამიზუკლის „სტუმარმასხინძობა“, გრ. ბერძენიშვილის „ოქრის ვერძი“, ძმ. ტურისა და შეინინის „პირისპირა“, შ. დადიანის „გაჭივების ტალკევისი“, ა. ქიჩინიანის „ბრმა მუსიკოსი“, რ. ქორჭიას „სირიანიანი ხალათი“ და სხვ.

ვიქტორ ნინიძე არის საქართველოს თეატრალური საზოგადოების ერთ-ერთი დამაარბელები და მისი ხარგევიყო კომისიის უცვლელი თავმჯდომარე. იგი მრავალ საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმის თაოსანი და ხელმძღვანელია. დღესაც იგი თეატრალურ საზოგადოებაში მხარში უდგას ახალგაზრდებს და ჰმბუტური გატაცებით მუშაობს.

პრემია კარაელიშვილი

სასახელოდ ბანკილი გზა

მერი ღაპითაშვილის ღაბაღაბის და წლისთავის გამო

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა ახლახან აღნიშნეს ქართული საბჭოთა თეატრის წინსვლის მოწინავე, ცნობილი მსახიობის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის მერი ღაპითაშვილის დაბადების 60 წლისთავი.

სასცენო ხელოვნებისადმი შევარულმა, კარგმა მსახიობო მონაცემებმა, ჭერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას გიმნაზიის მერხიდანვე შეუქმნეს თეატრისაკენ სწრაფვის დაუოკებელი სურვილი. 14 წლის გოგონამ შესწლო კიდევაც საინტერესოდ განესახიერებარამდენიმე როლი ხაშურის რკინიგზის სახლოდან არსებულ დრამატულ წრეში.

მაგრამ მერი ღაპითაშვილის სამსახიობო ნიჭის გამოვლენბა ამ დრამატული წრით როდი დაიწყო. ღაპითაშვილების ოჯახში მერი მეტუთე შვილი იყო. ოთხ ძმისთან ერთად ისიც დაჯილდოებული აღმოჩნდა შესწინავე ვოკალური მონაცემებით.

მერის მამა პეტერ ღაპითაშვილი სამხედრო მღვდელი იყო. იგი 1915—1920 წლებში ბაქოში მუშაობდა; აქ, ფლოტის ეკლესიაში, ათი წლის მერი მამასთან ერთად მღეროდა ფსალმუნს და გოგონას მშვენიერი ხმის მოსამგნად სპეციალურადაც კი მოდიოდნენ.

საქართველოს დამბრუნებულ ღაპითაშვილების ოჯახი 1920-21 წლებში ხაშურში დასახლდა. მერიმ განაგრძო გიმნაზიაში სწავლა. ჭემმარტივი ნიჭიერება თავის გზას ყოველთვის იპოვის. გიმნაზიის პარალელურად მან ხაშურის რკინიგზის დრამატულ წრეს მიაშურა. ამ წრეს რეჟისორი სოსო მეტურიაშვილი ხელმძღვანელობდა. აი აქ შეასრულა მერი ღაპითაშვილმა როლები გ. ერისთავის, ტრ. რამიშვილის, გ. ბუნეაკაშვილის პიესებში და, როდესაც ხაშურში დროებით საცხოვრებლად ჩასულმა ღაპითაშვილების ოჯახმა თბილისში დაბრუნება გადაწყვიტა, თეატრის გულდაწყვეტილმა მოყვარულებმა პატარა, ნიჭიერი მსახიობი ბენეფისი გაუმართეს.

რა თქმა უნდა, ამ პერიოდში ძნელია ვილაპარაკოთ მერი ღაპითაშვილის, როგორც მსახიობის რაიმე უნარობრივ, ანდა, როგორც მამის იტყოდნენ, აბლუის ჩამოყალიბებზე, მაგრამ ერთი უუცველია, ასეთმა დასაწყისმა მომავალი პროფესიონალის სამსახიობო წვრთნაში გარკვეულად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ამავე საწვრთნელ გზას აგრძელებდა აკაკი ფარავას თეატრალურ სტუდიაში. 1926 წელს საბჭოთა მერი ღაპითაშვილის დამთავრებისთანავე დაიწყო მერი ღაპითაშვილის როგორც პროფესიონალი მსახიობის სიძნელეებით აღსავსე რთული შემოქმედებითი გზა. ამ გზის დასაწყისი არ უშვადებდა ახალგაზრდა ქალს სურვილების დაუცმაყოფილებლობას, პირიქით, მამინვე მიიწვიეს მიხილ ჭიკაურელის ხელმძღვანელობით შექმნილ თბილისის მუშაო „წითელ თეატრში“. შემდეგ ბათუმის ქართულ დრამატულ თეატრში და მუშაოთა თეატრში მას ისეთ გამო-

ჩენილ რეჟისორებთან მოუხდა მუშაობა, როგორც იყენენ გრ. სულიაშვილი, ვახ. აბაშიძე, შ. აღსაბაძე.

აქედან მოყოლებული 40 წელზე მეტია, რაც მერი ღაპითაშვილი პროფესიულ სცენაზეა. სადაც კი იმუშავა, ვალერიან გუნისა მეთაურობით არსებული ქართული მოგზაური დასი იყო თუ კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებული ქუთაისის-ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი, თბილისის მუსიკალური კომედიისა თუ თბილისის მარჯანიშვილის სახელმწიფო თეატრი, მერი ღაპითაშვილმა ყველგან დიდ-დიდ სიხარული მიანიჭა ქართული საბჭოთა თეატრის მალაგმოვრებთან და მომთხვენი მაყურებელს. თვით მსახიობსაც ამ თეატრებში ბევრჯერ განუცდია ბედნიერება.

გასაგებია თუ რა სიამოვნების მომგვრელი იყო ისეთ თეატრში მუშაობა, სადაც მოღვაწეობდნენ უმანგი ჩხეიძე, გიორგი შავგულიძე, შალვა ღამბაშიძე, ვერიკო ანჯაფრაძე, სესილია თაყაიშვილი, ვასო გომიანიშვილი, თამარ ჭავჭავაძე, ც. წუწუნავა, ალექსანდრე ყოჩკელიანი, პიერ კობახიძე, აკაკი კვანტალიანი.

მერი ღაპითაშვილს მრავალმხრივი აქტიორული მონაცემები გააჩნია. იგი არ არის განსაზღვრული დიპლომატიის მსახიობი. მაყურებელი მისგან ერთნაირად დიდად ნასიამოვნები რჩება როგორც დრამატულ, ასევე სახასიათო როლების განსახიერებით. თითქმის ნახევარი საუკუნია, რაც სცენაზეა და ჭერ მას არ შეუტარებია ისეთი როლი, რომ იგი ყოველთვის უმნიშვნელო, უღიმღამო, მისი ნამუშევარი ყოველთვის შექმნილია მაღალი პროფესიონალიზმით, დადი პასუხისმგებლობის გრძობით.

როდესაც თვალს ვავლებთ მერი ღაპითაშვილის მიერ განვილილ საინტერესო შემოქმედებით გზას, წვენ წინ აღიმართებთან დაბეჭდვებული ებრაელი ქალი მირიამი ვერცელ ბაზოვის „მუწევიდან“, დიდი ილია ქაჭავაძის ზორეშანი „კაცია აღმანიდან“, ნინო და მარიკა ბართაშვილის „ყვავილეთიდან“, ნინო ალ. დილმის „მარგარიტა გოტიედან“, კატინა ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავარც“, ქაბატო ა. ცაგარლის „ნაწუმიდან“ და უმარავე სხვა. ყველა ეს სახე ჭემმარტივმა ხელგონებმა იმ მხატვრულ სიმიღელვებზე აიყვანა, რომ ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების მიღწევებზე მსჯელობისას მათ ვგვრდეს ვერ ავუვლით.

რეალისტურ სკოლაში აღზრდილ მერი ღაპითაშვილი უმარავი ფერები გააჩნია თავისი გმირების ფართოდ, სისხლბრძოლიანად დასახატავად. მისი ცხოვრებისეული გმირები უმთავრესად ორ ჭგუფად იყოფა: ერთნი ღრმად ფსიქოლოგიურნი (მირიამი, ანა, მარგარეტი, მოქრისი), რომლებსაც მსახიობი ღრმად არამატყობთ ქმნის, და მეორენი — სახასიათონი (სუბტკენინა, ნიმფა, თამბალ-მაკო, ქაბატო), რომლებიც ზოგ შემთხვევაში გროტესკამდე აჰყავს მსახიობს.

შემოქმედის ასეთი ფართო დიაპაზონი მერი ღაპით-



თაშვილის წარმატებული სამსახიობო მოღვაწეობის დიდი საუფუძველია.

ყველაზე მეტად ძვირფასი ამ მსახიობის შემოქმედებაში არის ზომიერების გრძნობა, უროლიზოდაც სახასიათო რბილები მოკლებულნი არიან მხატვრულ ღირსებებს. ამ შემთხვევაში ყველა მსახიობი განიცდიდა ბეწვის ხილის საშიშროებას, მაგრამ მერი დავითაშვილი ამ ხილზე მიემართება ლაღად, მტკიცედ, მან იცის ზომა თავისი ფერებისა. ამიტომ შევიდნენ მის მიერ წარმოსახული სუტ-ქენია და ნიმფა ქართულ საბჭოთა თეატრის სამსახიობო ხელოვნების ოქროს ფონდში.

ცხოვრებაში თავგამოდებული მეგობარი, სექტაქულშიც სამიველი პარტიზორია მსახიობისა.

უბრტყელი, პატივმოყვარეობისაგან თავისუფალი, დიდებული დედა ნიჭიერი შვილებისა, თავდავიწყებამდე მოსიყვარულე მეუღლე ჩვენთვის ძვირფასა და დაუფიქარი საშო გამგელაურისა, პროფესიონალის დიდი კეთილმინდისიერებით დგას ქემშარბიტი შემოქმედის რთულსა და ფართე შარა-გზაზე, რომლის დასასრული ჭერ კიდევ შორსაა. ამ გზაზე მერი დავითაშვილი კიდევ მრავალ სასიხარულო ნაწარმოებებს შეუქმნის საყვარელ მაყურებელს.

ვუსულტო მას ჯანმრთელობა და წინსვლა ქართული ხალხისა და მისი სანუცავარი თეატრის სახანჯლოდ.

ნიკო შვანციბაძე

ჩემი და პანბარო

მამი წყნარი, კეთილი და დაუღლელი ენერჯიკის ადამიანია. თავისი საქმე უყვარს და გატაცებით, უანგაროდ შრომობს, მუდამ შემოქმედებითი შთაგონებით არის ანთებული.

ნიკო კველიშვილი საქართველოს თეატრალური საზოგადოების თითქმის ცოცხალი მატანია. თეატრალური საზოგადოება ორიოდ წლის შექმნილი იყო, როცა პარტის ყოფილი მუშაკი, საბჭოთა არმიის რიგელებიდან ახლადდემობილიზებული, თეატრალური საზოგადოების თანამშრომელი გახდა.

— მამინ საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას აკვირ ხორავა თავმჯდომარეობდა, — იგონებს ნიკო, — შალვა დადიანი კი მოადგილე იყო. შალვა დადიანი ადრეც მიცნობდა. ომამდე მწერალთა კავშირმა საუკეთესო პიესებზე კონკურსის გამოაცხადება სხვა ახალგაზრდა დრამატურგთა ნაწარმოებებთან ერთად ჩემი პიესაც მოწონებულთა შორის აღმოჩნდა. მამინ მწერალთა კავშირის დრამსექციამ რამდენიმე ახალგაზრდა მოსოვს გაეგზავნა სსსწავლებლად. ამ დროს მწერალთა კავშირის დრამსექციას შალვა დადიანი ხელმძღვანელობდა. თეატრალურ საზოგადოებაში რომ დავიწყე სამსახური ძალიან დამიმეგობრდა შალვა. იგი სათნო და კეთილშობილი ადამიანი იყო. ახალგაზრდობასთან სიახლოვე უყვარდა.

გადიოდა წლები. შალვა დადიანმა გულით შეიყვარა ეს მოკრძალებული ახალგაზრდა. ამ სიყვარულთან

და გულითადი მეგობრობის დამადასტურებელია შალვა დადიანის ერთი პატარა ბარათიც.

„ნიკო, გენაცვა!

მივიღე შენი წერილი. ძალიან კარგია, ასე მაწყობდე მუდამ საქმის კურსში, კვირაში ერთხელ მაინც.

ერთხელ კიდევ უნდა „მოქანლო თავი“ და წამოგრძნე ბათუმს. 17 ამ თვეს დანიშნულია ჩემი იუბილეი“.

ნიკო კველიშვილი თეატრალური საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური მუშაკი ხდება. ამასთან ერთად, ქართული თეატრალური ხელოვნების საკითხებზე იგი ჩშირად კითხულობს ლექციებსა და მოხსენებებს სხვადასხვა ორგანიზაციაში. მას სისტემატურად იწვევენ დაბრკიებსა და ქარხნებში. მისი დაუღალავი და ერთგული შრომის საბუთია ისიც, რომ არაერთხელ ყოველი უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო უბნის კომისიის წევრი, რამდენიმეჯერ მიუნდვითა სახალხო მსახურის სასახუხისმგებლო საქმე.


მაგრამ ეს მიიღე ერთი მარტა ე. კველიშვილის ბიოგრაფიისა. წლების განმავლობაში ქართველი მკითხველი პარტის ფურცლებზე ეცნობოდა ე. კველიშვილის მიერ დაწერილი ბიბლიოგრაფიული ხასიათის წერილებს. მის კალამს ეკუთვნის მრავალი რეცენზია ჩვენს თეატრებში განხორციელებულ სექტაკლებზე და ახალ კინოფილმებზე, წერილები ქართული სცენის მუშაკებზე.

ამ რამდენიმე წლის წინათ ე. კველიშვილმა გადმოქართულა აზერბაიჯანელი დრამატურგის ს. დაღლის პიესა „სახელი ჩემი, სახარავი შენი“. ამ პიესას კარგა ხანს ჰყავდა მაყურებელი ჰიათურისა და ფოთის თეატრებში. მანვე თარგმნა დ. ტუავეის პიესა „ოქროს კავკასიანები“.

ე. კველიშვილის კალამს ეკუთვნის საყვარელდემო მონოგრაფია რესპუბლიკის სახალხო არტისტ პ. ფრანკვილიზე. ამ ნაშრომში ე. კველიშვილმა განიხილა ჩინებული ქართველი რეჟისორისა და მსახიობის შემოქმედებითი ცხოვრება. ამას გარდა, ე. კველიშვილმა ერთი მეტად ძვირფასი ამაგი დასწო თეატრალურ საზოგადოებას — საქართველოს თეატრალური საზოგადოების შექმნიდან 10 წლისთავზე მან ერთ წიგნად აღწუნსა თეატრალური საზოგადოების ათი წლის ნაღველი.

ამჟამად ე. კველიშვილი თეატრალური საზოგადოების შემოქმედებითი განყოფილების უფროსი კონსულტანტია. იგი გულითადი მეგობარია თეატრის ყოველი მუშაკისა. დღეს თეატრის მოღვაწენი, პირადი მეგობრები გულით და სულით ულოცვენ მას დაბადების 60 წლისთავს, უსურვებენ ჯანმრთელობასა და მრავალი წლის სიცოცხლეს. მისი მეგობრების სიყვარული კარგად გამოიხატა ამ პატარა მუნანიში, რომელიც მათ დაბადების 60 წლისთავზე უძღვნეს ე. კველიშვილს:

მართალ ნიკოს გეძახიან,
თუმცა ზოგჯერ შენცა სტყუი,
ფუტკარავით შრომობ, მაგრამ
ფუტკარავით არა ბჭუ





თანამედროვეობა, თეატრი, მსახიობი

ოთარ თაქთაქიშვილის სამი საოპერო ნოველის გამო

თანამედროვე მუსიკალური თეატრი ხელოვნების წინაშე სულ ახალ-ახალ პრობლემებს აყენებს. ამ პრობლემების გადაწყვეტა და ასახვა დღევანდელი მსმენელის მოთხოვნებიტებით, გემოვნებით, მისწრაფებებით, საჭიროა და აუცილებელი.

მხატვრული სიმართლის ძიება ახალ აზრებს და ფორმებს ჰაღებს. სწორედ ამგვარიანა ძიებაში მიიყვანა ოთარ თაქთაქიშვილი საოპერო სპექტაკლის ახალ ფორმასთან, ნოველის ფორმასთან.

სამი დამოუკიდებელი ნაწარმოების — მ. ჭავჭავაძის ორი მოთხრობისა და გ. ტაბიძის ერთი ლექსის მიხედვით კომპოზიტორმა შექმნა მონოლითურად შეკრული, ერთიანი იდეური კონცეპციით გამსჭვალული საოპერო ნაწარმოები. თითოეული ნოველა აღბეჭდავს საქართველოს წარსლის რამდენიმე დრამატულ ეპიზოდს; აქ ვეცნობით ორი ძმის ტრაგედიას გახრწნელ ქალაქში („ორი ვანათანი“), ჭარისკაცის თავდასახვალს, რომელიც თანდათან რწმუნდება, რომ ძველ წესწესობებს უნდა შეებრძოდოს („კარბაკი“) და ახალი რევოლუციური ხანის ჰიმნს — მიხალმდებს („დროვები ჩქარა“).

მშვენიერ ერთგვარი მოქმედება და მონაწილე ხდება ისტორიული მოვლენების თანამედროვეობით განვითარებისა. ეს იდეურ-ისტორიული ლიტმობიტივი აერთიანებს სამ ნოველას. სხვა საკითხია, თუ სადღეე ნოველა რამდენად ერთნაირად შეესატყვისება საოპერო უნარის სპეციფიკურობას...

მოვლენათა სიმწვავე და დრამატულობა, წარსულის დაბალბოთ კონფლიქტები მან აღბეჭდა ადამიანთა ურთიერთ დამოკიდებულებათა, მათს ვნებათა დამპირისპირებასა და შეჭახებაში.

მიუხედავად ფორმის ორიგინალურობისა, ტრადიციული საოპერო უნარის აზღებურად გაჯარებისა, მიუხედავად ახალი გამოხატულები ხერხების გამოყენებისა, უნარმა მაინც არ უნდა დაჯარგოს თავისი სპეციფიკურობა, ის ყველთვის უნდა იყოს განსოვადებულ საარქ ცოცხალი ადამიანური ხასიათებისა, ჩვეულებრივი ადამიანების ზედისა. კომპოზიტორის მიღრეკილებამ ადამიანის სულიერი სამყაროში დრმად ჩაწვდომისადმი, მწვავე ემოციური კონფლიქტისადმი, რაც ახალ ნაწარმოებში ასე მძლავრად გამოვლინდა, ჭერ კიდევ „ინდიანაში“ იმისა თავი.

ამჭერად კომპოზიტორი სრულიად უარყოფს ტრადიციას, — დაწყებული საოპერო უნარის ფორმათა და დამთავრებული მისი ყველა დანარჩენი კომპონენტით.

ო. თაქთაქიშვილი „რეტეს“ უნარს შიგნითვე, უფრო სწორად, ანახლებს მას ახალი ხერხების გამოყენების საშუალებით: მუსიკისა და სალაპარაკო ტექსტის სინთეზით, მოკლე სცენა-სურათების სწრაფი, შეიძლება ითქვას, კინემატოგრაფიული თანმიმდევრული შეეცლით, თავისებური ვოკალური ინტონირებით, მოქმედების განვითარების უაღრესი ლაკონიზებით, კომპოზიტორი უდგება საოპერო უნარს მისი სინთეტიკურობის წმინდა თანამედროვე პოზიციებიდან, თამამად შემოაქვს რა მასში ხელოვნების მონათესავე

დარგების წამყვანი პრინციპები და თავისებურებანი. თვით ნოველის ფორმამ. მოკლემ, სხარტმა, — დაბალბოთ ემოციებით და მწვავე ეპიზოდებით აღსავსემ, — თაქთაქიშვილს მაქსიმალურად ლაკონური გამოთქმის საშუალება მისცა.

ორ პირველ ნოველაში გაბატონებულია არა მარტო ერთიანი ემოციური განწყობილება დაბალბოთ დსიქოლოგიური დრამისა, არამედ ერთი ტემპიც. უარყოფს რა ტრადიციულ საოპერო ექსპოზიციას, კომპოზიტორს უყვე თავიდანვე შეზავს მსმენელი მოქმედების დაბალბოთ განვითარებაში, რომელიც ელვას სისწრაფით მაქმრის წინ და მთავრდება საშინელი ადამიანური ტრაგედიით. კონტრასტული დაპირისპირების პრინციპი — ის მხოლოდ ხერხი როდია. ეს განდგავს გაჯარებული მეთოდი ცხოვრების განსოვადებული ასახვისა, კომედიურობის და ტრაგიკულობის, სასაცილობის და სევდიანის, კეთილისა და ბოროტის მისთვის დამახასიათებელი ტიპური შერწყმით. აქედან გამომდინარეობს ორი წამყვანი ხასი, რომლებიც ასე მჭიდროდ არიან ერთმანეთთან გადახლართული ორივე ნოველის მუსიკალურ დრამატურგიაში: უარყოფსაყოფაცხოვრებო, ზოგჯერ მწვავე გროტესკულში ვადარსდები, და ლირიკულ-ფსიქოლოგიური.

აქ არის მოკლე, გამოხატული თემები, ძუნწი მოტივები — ფარსები, ნაცვლად ჩვეულებრივი გაშლილი საოპერო ლიტმობიტივისა. ეს თავისებური მუსიკალური რემინისცენებიც, აღბეჭდილი გარკვეული იდეურ-აზრობრივი ფუნქციით, ნოველებს დრამატულ მონოლითობას ანიჭებენ. ორივე ნოველა — „ორი ვანათანი“ და „კარბაკი“ მკაფიო მუსიკალური ხასიათების, გამოკვეთილი მუსიკალური პორტრეტების ოპრებია. მრავალფეროვან პერსონაჟთა გაღერვა აღბეჭდილია სანიმდერო, მოკლე არიოზულ ფორმებში, მდურად რისიტატებებში, სხარტ რეკლამებში, ყუველივე ეს ქმნის იმ ცოცხალ სალაპარაკო ინტონაციას, რომლის წყალობითაც კომპოზიტორი აღწევს მაღალ მხატვრულ რეალისტურობას და სცენურ სიმარტულს. აქ თაქთაქიშვილი შემოქმედებითად აღიქვამს მუსორგსკისა და პროკოფიევის ტრადიციებს.

მესამე ნოველის („დროვები ჩქარა“) პერიოპული ბათოსი, რევოლუციური რომანტიკულობა, თვით მთლიანი ემოციური ტონი ერთგვარად ემხაურება პრაიკოსვის ამაღლებულ პოეტურ ქმნილებებს. მჯარამ ეს ზომ უფრო თავისთავად ოსტატურად დაწერილი ორატორიაა, ვიდრე საოპერო ნოველა. ის ამოვარდინილა ნაწარმოების საერთო სტილიდან.

ო. თაქთაქიშვილის ახალი ნაწარმოები მხატვრული რენეისანის მნიშვნელოვანი მოვლენაა. ის მხოლოდ კომპოზიტორმა როდელ შექმნა. ახალგაზრდა რევისორებმა გ. შორაძენამ და ჭ. ანჯაფარაძემ, ნიჭიერმა მხატვარმა მ. მალაზონიამ მოხერხებულად გამოიყენეს თანამედროვე სინთეტიკური მუსიკალური თეატრის მეთოდი რგივ დამახასიათებელი კომპონენტები. მათთვის მთავარი მხატვრული პრინციპი იყო დაკონორობა, მოქმედების ძუნწი განვითარება და, ამავე დროს, მაქსიმალური გამოხატულობა.

თიმი გურჯი თელავში

თბილისელ აშულის იეთიმის პოეტური სიმღერები დღეადა დღე მოსწონებელია საქართველოში. იეთიმს აქვს ლირიული სიტოპო, რაღაც დიდი ადამიანურ სევდა და სოციალური სიზარმაცე. მისი სიტყვა მარტივია და უშუალო, თითქმის ბუნება მდერისო თავისი პირველი სიმღერით.

ო. მამფორას პიესაშიაც იგრძნობა ეს უშუალოება. „მეტეხის ჩრდილის“ შემდეგ მამფორასათვის „იეთიმის“ თემა უფრო ორგანიული აღმოჩნდა ვიდრე მისი სხვა რომელიმე ნაწარმოები. „მეტეხის“ ლოკური გაგრძელება ჰქოვა „იეთიმ გურჯის“, თუმცა ქრონოლოგიური ქარგა მთლად ზუსტი არ არის.

მაგრამ მთავარი ეს როდია. დრამატურგმა ამ ორი პიესით თავისი გულთბილი სიტყვა უთხრა ძველი თბილისის კეთილშობილურ მოქალაქეებს.

თელავის თეატრმა იგრძნო ო. მამფორას „იეთიმ გურჯის“ საუკეთესო მხარეები, დანახა მისი ლაღი, პოეტური ბუნება და მთელი სექტაკლიც მის გამოხატვას მიუძღვნა. ბევრი რამ შეიცვალა პიესაში, უფრო აღიწმინდა და ლაკონიური გახდა მოქმედება, მეტად გამოიკვთა ძირითადი თემაც. რეჟისორის (ლ. პაქსაშვილი) დაკვირვებულმა თვალმა და გამოცდილმა ხელმა ახალი სიცოცხლე შესძინა პიესას.

სექტაკლის მხატვრულად ეფექტურ და ტექნიკურად მარჯვე დეკორაციულ (მხატვარი თ. გოცაძე) გადაწყვეტაში რეჟისორმა თავისი „გულითქმითა სურათები“ ვაჩვენა.

მსახიობებმა მართლაც და ბუნებრივ გარემოში იგრძნეს თავი და კარგადაც გამოხატეს გმირთა ცხოვრება, გადავიწყალეს მათი სულიერი სასუქო.

სექტაკლის სული და გული (როგორც იტყვიან ხოლმე) იეთიმ გურჯია. ამიტომ მისი აქტიორული განსხვავება წყვეტდა პიესის ბედს სცენაზე. ა. კუპაძემ თავისი სხვათაგან იგრძნო პრაგმატიული და მორალური ტვირთის მთელი სიმძიმე. მან დიდი ტაქტით დააშურა სწორი სცენური ურთიერთობა სხვა მოქმედ პირებთან და დიდი გულწრფელობით მოგვითხრო თავისი გმირის პოეტური თავგადასავალი.

ა. კუპაძემ იეთიმ გურჯს მოხსნა პუბლიცისტური საბურველი და მეტი ლირიული სინაზე შემატა.

იგი სცენაზე წარმოსდგა სიმართლისათვის მებრძოლ ლირიკოსი. მისი ჰუმანიზმი გასაგნებელია არა მარტო მორთულად პოეტურ სტრიქონებში, არამედ მოქალაქეობრივ ქცევაშიც.

დრამატურგმა, რეჟისორი და მსახიობი ერთ ენაზე დააბრაკონენ სექტაკლში. ეს არის იეთიმის სინაზიოა და სიკეთის სავსე ალამბარათალი სიტყვა. მაყურებელი განტონბს არ სწმინდეს, რომელიც ლამაზ სცენურ ღორამშია მოქცეული და ემოციურადაც სავსეა იგი.

სექტაკლმა დიდძალი მაყურებელი მიიზოდა. მისი ინტერესი წარმოდგენისადმი არ იქნებოდა ასე ერთსულადიანი, რომ სექტაკლში იეთიმის გარდა სხვა გმირების აქტიორული ცხოვრებაც არ ყოფილიყო საინტერესო. ჩვენ არ ვიფიქრებთ გ. პაპოშვილის უფლისა სხეს, ვ. მარკოშვილის ბაგრაძის, კ. ხალაძის ცეცქს და მ. ლაღაშვილის გულჩინას. კოლორიტის გრძობით, სცენური გამოხატელობით გამოჩნდნენ ე. მოსაშვილის ბეგაბეგოვი, გ. მამუნიშვილის თაფანა, კ. ზუროშვილის ხოდგოვი.

ამ წერილში არ გვინდა უყურადღებოთ დარჩენილი არავიაშვილის ელო, დ. ილიენიშვილის ჭიჭიანი, კ. ქემაშვილის წყალობა, თ. მაისურაძის გოგირი, ი. მჭედლურის გამა და ა. ტაბაშვილის პოლიციელი. ყოველი მათგანის სიმართლის გრძნობა და ბუნებრივად გაერთიანებულია და ჩვენც ასე გავაერთიანეთ მათი გარეგანი, მაგრამ მათ შორისაც (ბუნებრივად) იყო ოსტატობის განსხვავებული დონე. შეინიშნებოდა შტამიცა და სქემატრშიც, მაგრამ საგანგებოდ არ გვსურს ინდივიდუალური მისამართი მივცეთ შენიშვნებს. სექტაკლის წარმატება ყველას გამარჯვებაა. დაე საერთო იყოს ეს შენიშვნაც.

დაე ყოველმა მსახიობმა საკუთარ თავს მაინც უთხრას (რაკი ჩვენ არ ვეუბნებთ) თუ რის გაკეთება შეეძლო და რა მისცა სექტაკლს..

ო. მამფორას „იეთიმ გურჯის“ თელავის თეატრში წარმატება ხვდა. სექტაკლს აქვს ზუსტი რეჟისორული გადაწყვეტა, დაცულია სტილისტური მთლიანობა და შესრულების რეალისტური მანერა.

მასილი კიკნაძე

დაუფიქრარი არიან თავისი გულწრფელობით გ. ტორონაძემ და რ. კაკაბაძემ, რომლებმაც პირველ ნოვოლი ზომიერების გრძნობით შექმნეს ორი ძმის სახე. თუ უტირლოდ გარდასახავს ვილპარაკეობ, უპირველეს სტილისტისა, ეს ეხება თ. ჭოხობერიძეს, რომელსაც გარდა მკაფიო ინდივიდუალობისა, მდიდარი მიმიკა გააჩნია.

სხარტი გოლისტური სადებავებით, არტისტულობით გამოკეთა პატარა როლი გამოცდილმა ბ. კრავეიშვილმა.

შინაგანი გულწრფელობით შენაინიშნავია თ. ლაფერაშვილი. ტრაგედიული მგზნებარებით არის გამსჭვალული დედის სახე თ. გურგენიძის შესრულებით.

თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის აქტიორულ ანსამბლში კიდევ არის მთელი გაღერვა სხარტი სცენური

ნური სახეებისა, რომლებსაც ჰქმნიან: კ. მადრაძე, გ. წულუკიძე, ა. მურადოვა, შ. ვაშალიძე, ი. კანდიკოვი, ე. ლოსიცი, ი. ქუთათელაძე, გ. ხეცურიანი, ე. ხიჯაძე, რ. გორგოძე, გ. გულსნაძე, შ. კიკნაძე, თ. შეინიშვილი, ნ. გელაშვილი.

მისასალმებელია საოპერო თეატრში გ. სალარაძის ნოსკვა. სექტაკლის შექმნაში მონაწილეობა მიიღეს ხორმისტერმა ა. განუგრაჰამ, საქართველოს სახელმწიფო კაპელამ გ. ბაქრაძის ხელმძღვანელობით, ქორეოგრაფმა რ. მაჩაიძემ.

„სამი ნოვლის“ მთავარი მუსიკალური ინტერპრეტატორი არის თეატრის სიმფონიური ორკესტრი და დირიჟორი გ. აწმადიაშვილი, რომლებმაც შეიქვეყნეს ახალი ნაწარმოების ორიგინალური პარტიტურა.

მირა ფინჩაძე



ბ ა ბ ა ჯ ა ნ ა ს ქ ო მ ე ბ ი

მის არ წყუთხვას, ან არ მოუსმენია პოეტ-აქად-
მიკოს ი. გროსშვილის საბავშვო პოემა „ბაბაჯანას ქო-
შემა“, რომელშიც ხატუნად არის ვაღმოდებული ერ-
იო ღარიბი მეთულუხნის — ბაბაჯანას თავდადასავლი.
პოემა იმდენად ლაღად დაწერალია და იმდენ
რუმორს, ცოცხალსა და ხალისიან ფერს მოიცავს, რომ
ნორჩებმა შეიყვარეს მეთულუხნი და იგი თავიანთ
სიყვარულს გამოაცხადეს.

კარგი საქმე გააკეთა ვ. აბაშიძის სახელობის მე-
სკოლური კომედიის თეატრის კოლექტივმა, რომელ-
მაც ბავშვებისათვის დადგა კომპოზიციები დ. იაშვი-
ლის მიერ ამ პოემის საფუძველზე შექმნილი ოპერეტა
„ბაბაჯანას ქოშემა“ (ვასცენიერების ავტორია მ. თარ-
ნიშვილი). აგერ უკვე რამდენიმე კვირა წარმოდგენა
მიმდინარეობს და დარბაზი ყოველთვის სავსეა მაყუ-
რებლით. ბავშვებთან ერთად ოპერეტას უფროსებაც
სიამოვნებით ესწრებიან.

რეჟისორ ბ. ვამრეკელის სცენურმა ინტერპრეტა-
ციამ შექტავს თანამედროვე ეფერადობა მიანიჭა,
ბაბაჯანას შემსრულებელი ი. ვასაძე და ბ. ბეგაძე-
შვილი რეჟისორის ადლოს გაყვენენ და სავსებით და-
უახლოდნენ გმირის ხასიათს.

ი. ვასაძე-ბაბაჯანა უბრალო მშრომელი ადამიანია.
იგი წყლის ზიდვით მოღვაწე, მაგრამ მიანც მხნე უა
დაუზარელია. მსახიობი ამ როლში ემოციური, მოძრა-
ვი და შთამბეჭდავი.

ბ. ბეგაძე-შვილი-ბაბაჯანა გარეგნულად განსხვავ-
დება ი. ვასაძის ბაბაჯანასაგან. მისი ბაბაჯანა მეთუ-
ლუხნის ტიპური სახეა. აღმოსავლური მელოდიების
სიტობი მისთვის მშობლიურია და ახლობელი, მსახი-
ობის თამაშს ახლავს ოღმორი და გამოხასხველობა.

ბაბაჯანა ოპერეტაში ცენტრალური ფიგურაა, ბა-
ბაჯანას უკავშირდება ყველა სცენა და ეპიზოდი. ბა-
ჯანა თუ ხაზანი, მიკიტანი თუ კარისკაცი, ქალაქის
სხვადასხვა დანის წარმომადგენლებს თუ ბრძენი დერ-
ჯიში ნაწარმოებში ბაბაჯანას სახის სრულყოფისათვის
არის წარმოდგენილი. ამიტომ კომპოზიტორმა ლ. ინა-
შვილმა შექმნა დრამატიზმი, ლირიკითა და აღმოსავ-
ლური მელოდიების ტექნიკისთვის შეხვედრული
მრავალხრივი საინტერესო მუსიკა.

კომპოზიტორმა მუსიკალური ლეიტმოტივად მე-
თულუხნის სიმღერა აირჩია. ნორჩი მაყურებლები გა-
ტაცებით ისმენენ ბაბაჯანას არიებს — „აბა, წყალი!“
რას დასცინით ჩემს ძველ ქოშებს“ და სხვ.

ბაბაჯანას სახეს ავსებენ და ამდიდრებენ კომპო-
ზიტორის მიერ შექმნილი მელოდიები „ჯან, ჯან, ბაბა-
ჯან“, „ქოშების საგალობელი“ (ი. მელოქ-ჰუსეინოვის
შესრულებით), „რას ერჩით თულუხნის და დავლჯიჯი
ქოშებს“ (ამ სიმღერაში გამოსტყვივის ხალხის სედა,
ხსიათდება დრამატიზმითა და პოლიფონიურობით).

კომპოზიტორის მიმართ გვაქვს ერთი შენიშვნა.
კარგი იქნებოდა, რომ მეტი ყურადღება მიეყურა
ბრძენი დერჯიმის სახის გამოკეთისთვის, რადგან ავი
ქმნის ნაწარმოებში მუსიკალური და დრამატული კულ-
მინაციის, პირველ მოქმედებაში კარგად არის გამოხა-
ტული დერჯიმის ბუნება, მეორე და მესამე მოქმედე-
ბაში მისი სიბრძნე და შეგონებანი ნაკლები ეფერადო-

ბისა, ხოლო წინა სადინალო სიმღერა ქარბი მხიარუ-
ლი რიტმის გამო უსიმათით შთაბეჭდილებას ახდენს.

კარგია და საინტერესო მსახიობ ნ. კონდანიშვილის
მიერ შესრულებული ბაბაჯანას ქალიშვილი ალბო. ქე-
ზის ბილისა სიცილის შესანიშნავი ოსტატის ბ. იანკა-
რაშვილის მამო (ამ როლში დავამახსოვრდა აგრეთვე
ნ. ლალიძე). მათი ყოველი გამოჩენა სცენაზე მაყურებ-
ლის მხიარულ რაქივას იწვევს. მოწონებას იმსახუ-
რებენ ე. ალიევა და ა. ყვიველი (მალხო), ლ. შა-
ყულაშვილი (გლახო), ი. ქუთათელაძე და თ. ხელაშვი-
ლი (ვეზირი), დ. მაქვარიანი, ნ. პეტრიანიშვილი (მე-
ნი), პ. სუნიშვილი, ა. მხეიძე (ბაზანი), თ. ბაზალაძე
(ხარაზი) და სხვ. აღსანიშნავია, რომ რეჟისორმა ოპე-
რეტაში შეიყვანა ორი დაღვებითი პერსონაჟი, უწყინ-
დესი გრანძობების მატარებელი ორი ახალგაზრდა —
ბაბაჯანას დისწული ვარლი და მისი მჯიჯნე აბა.
ვარლოს ჰყავს ორი ნიჭიერი შემსრულებელი —
ე. გურაშვილი და ლ. კორძაძე, აბოს როლში კი
ო. ბაბუაძე და ა. გოგორიშვილი ვიხილეთ. მათი შეს-
რულება ზომიერი, ამაღლებული და ნატიფია.

დიღანას გემამსოურება ვ. თალაქაძე რაბათის
როლში. იუმორით აღსავსე მისი მოძრაობანი, ვარდა-
საზღვის ბუნებრიობა და მეტყველების თავისებურება
შეშარბიტი შემოქმედების ნაყოფია. კვლავ საუცხოო
წარმოდგა ჩვენს წინაშე გამოცდილი მსახიობი მ. ბე-
რიანიშვილი მიკიტნის როლში. გუტყვითი მს-
და გვგანძობთ, რა უსასწაუროა მსახიობური კულტურის
ძალა და ძალა წყლების მანძილზე მიღებული გამოკ-
დილებსა. მიკიტნის ტანსაცმელში გამოწყობილი მსა-
ხიობი იმდენად კარგად გარდისახება, რომ გვეწყვე-
ბით სად დევს ზღვარი მსახიობისა და პერსონაჟს შო-
რის. მსახიობი ჯერ გარეგნობით იქცევის უფრადღება,
შემდეგ კი ხასიათის განვითარებით. მიკიტნის როლი
მ. ბერიანიშვილის შემოქმედება გამარჯვებაა. დავამა-
სოვრდა ნ. კახიანიანი და ა. შალიაშვილის მიერ გან-
სახიერებული ბოროტი გონჯა.

ამ უკანასკნელ ხანს თეატრის მუსიკალური ცხო-
რების სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა მუსიკოსი —
დირიჟორი რ. ხურცილავა. მინდა აღენიშნო, რომ
მან მალე აუღო ალბო თეატრის შემოქმედების პრა-
ცესს და მალე მოიპოვა აღიარება. ეს უკანასკნელი
ოპერეტა მუსიკის საინტერესო სრულყოფით და ი-
რჩევა. იგრძნობა დირიჟორის მტკიცე ხელი. ხმოვა-
ნებით გამოირჩევა ორკესტრი და, ფრთა ესხმება კომ-
პოზიტორის მხატვრულ ჩანაფიქრს. დირიჟორთან ერთად
საყურადღებოა ქორმისტერი თ. მელის ნაშე-
ვარი. ბუნდ მდირიჟორთან, მაგრამ მისი ყურა-
ღობა მკაფიოა და პროფესიულად სრულფასოვანი.

ნაწარმოებს ბევრი შესძინა მხატვარი შ. ხუციშვი-
ლის კარგმა ნაშეშვარმა. ლაქონიურად გადაწყვეტო-
ლი დეკორაციები მსახიობთა სამოქმედოლ თავისუფლ
არეს ქმნის. რაც შეეხება ქორეოგრაფი მ. ოდიავის და-
დგმულ ცეკვებს, მკაფიო რიტმის გარდა, აღმოსავლურ
კოლორიტი და მოძრაობის სიზუსტე ახასიათებს.

ოპერეტა-ზღაპარი „ბაბაჯანას ქოშემა“ კარგი სა-
ჩუქარია ჩვენი ნორჩებისათვის.

თამაზ ანთაძე



სამი სულამო და ერთი ღილა

თიბერვლის დამდვი იყო. მატარებელი „ბათუმ-მი-მოსკოვი“ რუსეთის თვალწმინდულ სივრცეებს მიაპობდა. მატარებლით ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი პირველად მიგზავნებოდა მოსკოვისკენ. მას დღეაქაჟის მაცურებელსათვის უნდა ეჩვენებინა თავისი ხელოვნება. ყველა იცნავდა! დღევანდენ, რადგან უნდა შეხვეუროდნენ მოსკოვის მომთხზენ მყურებელს.

აი, მოსკოვიც. კურსკის ვაგზალზე ბათუმელებს ევლობილად შეხვდნენ დეაქაქაჟის თეატრალური საზოგადოებრიობის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები...

როცა გასტროლების დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე სტულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოებისა და აქტიორის ცენტრალურ სახლში ჩვენი ქვეყნის გამოსწილ თეატრალურ მოღვაწეებს ევსაუბრებოდა, ისინი სიამოვნებით აღნიშნავდნენ, რომ მოსკოვში გაიზარდა „თეატრალური საქართველოს“ რუკა, რომ რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების შემდეგ აქ ჩამოვიდა საქართველოს ზღვისპირეთის ერთ-ერთი ქალაქის სახელმთხვეველი თეატრა.

გასტროლების პირველ დღეს წარმოდგენილ იქნა აკაკი გეგუაძის „წმინდანები გოჯოხეთში“. იხსენება დარდა, სცენაზე გამოდიან რუსეთის თეატრალური ხელოვნების მოღვაწენ: რუსის სახალხო არტისტები კ. მიხაილოვი და ნ. მანსუროვი, რუსის დამსახურებული არტისტი ნ. მაღინფეცკი და სამხატვრო თეატრის მსახიობი ი. როსტოვეცკი.

ბათუმელებს მიესალმა კ. მიხაილოვი. — თქვენს ერთ-ერთ სპექტაკლს ჰქვია „ზღვა და სიყვარული“. — ამბობს იგი. — ჩვენ ვისურვებთ, რომ მოსკოველთა გულში თქვენ მოგვაგოვებინოთ ზღვა სიყვარული.

სასუსლო სიტყვას ამბობს აჰარის კულტურის მინისტრი ლ. ბოლქვაძე.

სპექტაკლის შემდეგ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს თეატრების სამმართველოს უფროსი პ. ტარასოვი თეატრის დასს ესაუბრა სპექტაკლის აკტივობაზე, მან რამდენიმე შენიშვნა გამოთქვა ბავსის მიმართ და ქებით მოიხსენია მსახიობები. გასტროლების შემორე საღამოს წარმოდგენილ იქნა ალექსანდრე მაკსიმის „ზღვა და სიყვარული“, ხოლო მკსმე საღამოს — კვლავ „წმინდანები გოჯოხეთში“.

გათენდა მეოთხე დღეა. ბათუმელებმა უკვე სთქვენ თავიანთი სათქმელი. ახლა ვერც მოსკოველებზე იყო. კრემლის თეატრის საკონფერენციო დარბაზში შეიკრბნენ მოსკოვის თეატრალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მწერლები, კრიტიკოსები, მხატვრები. განიხილეს შესავალი სიტყვით ხსენებულ „სტეატრის“ მთავარი რედაქტორი იური ბაზაკოვი.

იგი ამბობს: — ბათუმის თეატრის პირველი გასტროლები მოსკოვში ოქროს ასოებით ჩაიწერება ამ თეატრის ისტორიაში. ამ გასტროლებს პრინციპულ მნიშვნელობა აქვს თეატრისათვის ვერ ერთი იმიტომ, რომ საგასტროლო სპექტაკლები ოქტომბრის იუბილისათვის მზა-

ღების დღეებში შეიქმნა, მეორეც იმიტომ, რომ იგი ნათელი დანსტრებება საბჭოთა თეატრალური ხელოვნების ზრდა-განვითარებისა. ჩვენ ვაგვიანოთ თეატრი, რომელიც მუშაობს თვითმყოფელი მხატვრულ საშუალებებით. ჰქმნის საკუთარ რეპერტუარს, ჰყავს სკივიერი შემოქმედებითი ძალები.

შემდეგ ი. რბაჯოვა სიტყვა მისცა „ლიტერატურ-ნიკია ვახტანგ“ თეატრალურ მიმოიხილველს, კრიტიკოს ვ. კარალოვს, რომელმაც ილაპარაკა საგასტროლო რეპერტუარის დრამატურგიაზე. მან მხოლოდ პიესები განიხილა.

— არ მისურს, თქვა მან, რომ დღეს ჩემს გამოსვლას კრიტიკული ტონი ჰქონდეს, რადგან მე მომქუონა თქვენი სპექტაკლები. ამავე დროს, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ვაგიზაროთ ჩემი რამდენიმე მოსახრება. ეს გასტროლები თქვენთვის შემოქმედებითი ანკურიზია. ჩვენ ვაგვიცანით მომწიფებელი შემოქმედებითი კოლექტივი. ეს კოლექტივი მეტი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს პიესების შერჩევის საქმეს.

დაიწყო ალ. სამსონის „ზღვა და სიყვარული“. ჩემთვის ვსაგებია, თუ რატომ მოქცა თეატრის ყურადღების ცენტრში ახალგაზრდა კაცის პრობლემა. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ჩვენი დროისა.

აკაკი გეგუაძის „წმინდანები გოჯოხეთში“ პოემა უფროა, ვიდრე დრამა. დრამატურგის თვალსაზრისით პირველი მოქმედება გაქვანურებულია. დასწიყისში საქმე იწმწმომოდგება, თითქმის კონტრექტი ვალიკოსა და მირანის შორის წარმართება, მაგრამ ვალიკოს მოქმედებიდან გასვლის შემდეგ ეს ხაზი იკარგება და წინა პლანზე მოდის ლირიკული განწყობა. ნაწარმოებები თანდათან იყვეთება მორალურ-ეთიკური პრობლემებისადმი პრინციპული მიდევრობა, ამიტომ პიესა ომის კი არა, არამედ ამ უკანასკნელ საკითხისადმი მიძღვნილი.

სიტყვა ეძლევა ნ. გოგოლის სახელობის დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორს რსუსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს რეჟისორ ბ. გოლუბოვსკის, რომელმაც საგასტროლო რეპერტუარის რეკურსურის საკითხებზე დალაპარაკა.

— ბათუმის თეატრის გასტროლებმა ინტერესი ვამოიყვია. ამ გასტროლებით თვენ უფრო თვალნათლივ დანიხნეთ საკუთარი მიღწევებიც და ჩავაძინებოც. ჩვენ კი დავრწმუნდით, რომ ბათუმის თეატრი ერთობლივია ქართული თეატრის ბრწყინვალე ტრადიციებში, იგი ამ მაგისტრალურ გზას მიყვება. მე, როგორც ქართული თეატრალური ხელოვნების დიდ თაყვანისმცემელს, მხარავს ეს ფაქტი.

ბათუმის თეატრის კარგად აქვს დამუშავებული პლასტიკის, რიტმისა და ოსტატობის სხვა სახეობები. მაგრამ მინც მინდა აღნიშნო, რომ საგასტროლო სპექტაკლების ზოგიერთ ენაზოდებს მეტი დახეწვა, მეტი დამუშავება უნდოდა.

მე მომხბალებს მთავარი როლების შესწრულელებმა. აქტიორის ოსტატობა მხოლოდ მიწოდოვებსა



ბათუმის თეატრის მასტროლები მოსკოვში

და დიალოგებში როდი მკლავდებოდა, იგი თავს იჩენს პაუზებშიც. ამ მხრივ სპექტაკლში „წმინდანები ჯოჯობეთში“ ჩინებული იყო ლ. ყარასაშვილი. რეჟისორ თ. აბაშიძის ბრწყინვალე და მუშავევები მარაჩარა და დაღუპული მებრძოლების დიალოგის სცენა ეს სცენა შესრულებულია თეატრალური ხელოვნების ძალიან მაღალ დონეზე.

სამაგიეროდ, რეჟისურას უნდა ვესაყვიდროოთ ის, რომ როლები არათანაბრად ნაწილდება. ავანტი-როლო სპექტაკლებში მთავარ როლებს ერთი და იგივე მსახიობები ასრულებდნენ. ეს ცუდად მოქმედებს კოლექტივის ზრდაზე. ამ დროს მსახიობი ეჩვევა შტამს.

მომკვლე მსახიობს მიერ შესრულებული დათოს სახე. დრამატურგს ეს როლი თითქმის არ დაუწყვია, მაგრამ რეჟისორმა და მსახიობმა სახე საინტერესო გახადეს. ასევე კარგია ნაბიჯების მიერ განსხვავებული სახე. საერთოდ, თეატრში მაღალ დონეზე დგას პატარა როლების შესრულება.

ბათუმელთა სპექტაკლებში ბევრი რამაა საკმაო, მაგრამ მთავარი ისაა, რომ თეატრი გულგრილი არ არის, იგი მხურვალედ ემსახურება თავის საქმეს.

სავსებით სპექტაკლების მხატვრობა განიხილა ცნობილმა მხატვარმა მ. კურიაკამ. მან თქვა:

— ქართველი მხატვრების მუშაობას მუდამ გაუციკვობა ვაფიქრებთ თვალს, რადგან ჩვენთვის დიდა ხანია ცნობილია, რომ საქართველოში ჩინებული მხატვრები არიან. ეს გამოჩნდა კიდევ სავასტროლო სპექტაკლებში. ამასთან ბევრი ხარვეზიც შეინიშნება. მე არ ვეუფენი იმ მხატვართა რიცხვს, რომლებიც ალ-მაყერად შესცქერაინ თეატრში ფორტოგრაფიის გამოყენებას, მაგრამ, მე მგონია, „ზღვა და სიყვარულში“ ფორტოგრაფი ერთგვარად შეანელეს სპექტაკლის გმოცეობი ადქმა. ფორტოგრაფი ერთგვარად არ პასუხობენ მოქმედების შესაფერის განწყობას, მიუთმეტეს მაშინ, როცა პიესა მხატვრულად სუსტია. ეს ნაკლი რეჟისორსა და მხატვარს უნდა გამოეწირობინათ.

მე პირადად მოეწონა ის, რომ სპექტაკლში „წმინ-

დანები ჯოჯობეთში“ გამოყენებულია კინოფორი, მაგრამ ზოგიერთი დეტალი იმდენად გაუთვალისწინებელია, რომ ბევრ მხატვრულ დიდებებს ჩრდილს აყენებს.

— ჩემზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა ხალხის თეატრის სპექტაკლების რეჟისურამ, — ამბობს ეტაროს „ტეატრის“ ვანოფილის გამგე, კრიტიკოსი გ. შერბინი, — მაგრამ, ვფიქრობ, ორივე პასაჟში ფრთები შეაკვეცა მსახიობებს, ისინი არ იძლევიან მისა ოსტატობის გამოვლინების საშუალებას. ეს განსაკუთრებით იოქმის „ზღვა და სიყვარულში“.

სსრკ კულტურის სამინისტროს პასუხისმგებელ მუშაკი ნ. მუშტოვი განიხილავს ბათუმელთა სავასტროლო სპექტაკლებს და ამბობს, რომ ბათუმელებმა წარმატებას მიაღწიეს ჩვენს დედაქალაქში. მისი აზრით, ეს არის მომწიფებული კოლექტივი. ის უენიშვნები, რაც განხილვაზე გამოითქვა, რასაკვირველია, არ შეეკრთობს თეატრს, რადგან ასეთი რამ კოველთვის თან სდევს კოლექტივს, რომელიც შემოქმედებით ძიებას ეწევა.

სიტყვას იღებს საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტიტი დოდო ანაძე. იგი ლაპარაკობს თეატრის სხვა სპექტაკლებზე, რომელიც მოსკოვში არ ჩამოუტანიათ და გამოთქვამს რწმენას, რომ მოსკოვის თეატრალურ აუდიტორიასთან შეხვედრა დაეხმარება თეატრს შემდგომ მუშაობაში.

აქარის ასსრ კულტურის მინისტრმა ლ. ბოლქვაძემ და ბათუმის თეატრის მთავარმა რეჟისორმა თ. აბაშიძემ მოსკოვის თეატრალურ საზოგადოებრიობას დაუხვადეს გულწრფელ მადლობა ყურადღებისა და მზრუნველობისათვის.

განხილვა შეჯამა ი. რიბაკოვმა.

გურამ ბატიაშვილი
ქ. მოსკოვი

თეატრალური საზოგადოების ახალი წევრები

1968 წლის 15 თებერვალს საქართველოს იეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმმა იეატრალური საზოგადოების წევრებად მიიღო თეატრის მუშაკები, რეჟისორები, მსახიობები, კრიტიკოსები.

თეატრალური საზოგადოების წევრობას გულით ვულოცავთ: ა. ალავიძეს, გ. ბათიაშვილს, ი. ბაკურაძეს, ნ. ბახილიას, ბ. ბეგალოშვილს, გ. ბუაღვას, ლ. ვაზრაძეს, ვ. გამყრდიძეს, ც. გიორგობაძეს, თ. გონიჭაშვილს, ი. დავითიანს, ხ. ვადაჭკორიას, ვ. თანდილაშვილს, ლ. თევზაძეს, მ. თუშიშვილს, ზ. ილურაძეს, გ. კობრიძეს, ლ. კუპრი-

შვილს, ო. ლაგვიდავას, თ. მალაღაშვილს, ე. მაისურაძეს, ნ. მამალაძეს, ჯ. მაჭავარიანს, გ. შეტეხელს, ნ. მწარიაშვილს, ა. ნუცუბიძეს, ნ. პატარიძეს, ნ. პატარიძეს, ა. პეტრიაშვილს, ე. პოლოხოვას, ლ. კვანტალიანს, თ. რეხვაიშვილს, ი. რობაქიძეს, ზ. რატიანს, ო. სანდომისაშვილს, ნ. სოლუაშვილს, კ. სეფიაშვილს, ი. ურდულაშვილს, ჯ. ფილდავას, გ. ფირცხაღვას, ვ. ფირცხალიშვილს, მ. ფოთოლაშვილს, ნ. ქაღდანს, ი. ქუთათელაძეს, ა. შაღიკაშვილს, შ. შედეგას, ლ. ჩიხლაშვილს, თ. ჩერქეზიშვილს, უ. ცერაძეს, თ. წიკლაურს, გ. ქეიშვილს, თ. ყანჩაველს, გ. ხვიჩიას, თ. ხუციშვილს, გ. ხუხაშვილს და შ. ხუხაშვილს.

ბერი მოგონება

ზაფხულის ცხელი კვირა დღე იდგა, დილის სექტაკეში ვიძღვრე და შინ ძლიერ დაღლილი დაბრუნდი. ჩვეულებრივ „დაისი“ მონაწილეობის შემდეგ ფიზიკურად, და სულიერადაც, ორგანიზმი დასვენებას მოითხოვს. არის ოპერები, რომელია შესრულებას დროს მომღერალს მთელ შესაძლებლობათა მაქსიმალური დახაბვა უხდება. ასეთ რთულ, სიმძლავრით სავსე ოპერებთა რიტებს მივყუთვებ „დაისი“, დაღლილობას საშინელო სიტყვით აროთულებდა. ცოტა შეწყვეტილ შემდეგ გადაწყვიტე შემოღამებას სუთა პავრზე გასიერებით შეგვედროდი. იმ დროს მე ლენინის ქუჩის 64 ნომერ სახლში ვცხოვრობდი. სადარბაზოდან რომ გამოვიდი, მარცხნივ შევხვდი და როგორც კი მეორე სადარბაზოს მივავლოდი შორიან ანთორ საზაფხულო კოსტუმში გამოწყობილი ტანმორილი ადამიანის ფიგურა შევაჩინე. ნაბიჯ მოვუმატე, მივხვალვდი და დიმიტრი ევატეცა ძე არაყი-შვილი შევიცანი. ძლიერ გამეხარა ისიც ჩვეულო სიბოძით და აღურსით გადაამეხვია და გადაკვიცნა.

— ბატონო დიმიტრი, წარმოიდგინეთ, უცნაურ ვერ გაციანთ. ალბათ გამიღიძრებთ, და თუ ეს მართლა ასე მოხდა, იცოდეთ, წელიწად მეც უნდა მარტენი, — გავეხებოვ.

დიმიტრიმ გადაიხარხარა და მომიკო:
— ისე რამ შემეცვალა, რომ ვეღარ მიცანი?
— თეორი, ქათამთა საზაფხულო კოსტუმში ისე ვამეხვებო, რომ, გუთხადილად უნდა ვიფიქრო, იყო წლის ქაბუცე ჰეველით. — ამის თქმებ დიმიტრიმ კვლავ გადაიხარხარა.

— შენ სულ ასე იცი ჩემი გულის მოგება, ბარაქლა შენ, ჩემი შეიფრესო ბათუ. მართლა, საით მოინჩქარდი? — მე შეგიოხნა, — ალბათ კონცერტზე...

— არა, ბატონო დიმიტრი, დღეს დილით „დაისი“ ვიძღვრე და საღამოს, შინიდან სუთთა პავრზე ვამეხვდი დასასვენებლად. — დიმიტრის გაუხარდა, ისიც დასასვენებლად იყო გამოსული.

ტრამეისი ხაზი გადაკვეთეთ და ცირკის კიბესთან აღმოჩნდით.

დიმიტრი ვასაოკრად უბრალო, ამყილო, გონებამახვილო მოსაუბრე აღმჩინო იყო. მისათან ყოველი შეხვედრა და საუბარი აუცილებლად რაღაცა ახალს შეგატანდა. იგი ბევრის მნახველი და ბევრის მხალცი იყო. მე მსიკვით ხელოვანთან შეთანამებული ვიყავი, ვუყვარდი ზოგს მართლაც, ზოგს შეთხუხულ, სასიხარულო, კუროზოლ ამბებს. მას ყოველთვის საზომებდა ჩემთან შეხვედრა.

— ბატონო დიმიტრი, რა იქნება, რომ თქვენ და მე ამ კიბეებზე ავირბინოთ?

— როგორ? — გაურკვევლად შემიკითხა.

— როგორ და ახ ასე, მიუხედავ და რამდენიმე სადღეობრივი ავირბინე.

— შენ, ჩემი ძმაო, ღონე გერჩის. ვინდა ეჩინ მოეცლა, და, ამავე დროს მიხედი კაცოც ამიყოლო, არა, გვ არ გამოვივა. ბოლოს შევთანხმდით და ნული ნაბიჯებით საუბარში როგორც ექნა მივალწიეთ კიბის უთანასწოლ საფეხურს. — მწვერვალს დასაყრბილია, ვაშა?! — შევაძება. დიმიტრის ვაილია.

— კი მაგარად, დასვენებაც ხომ საქირია, განა მთაცვლებში არ ისვენებენ?

— როგორ არა, ბატონო დიმიტრი, მივეხედავ იქვე კიბეების გასწვრივ ჩიტებივით ჩამოვსხვდით. ირგვლივ მყუდროება სუფევდა. დიმიტრი წუთიოც წამოდგა, მიმოიხედა და ისეთვაც:

— დრო როგორც სცელოს ყველაფერს! მე კარვად მასსოვს, ეს მიდამო წარსულში ბალებითა და საჩუველა ყვერლებით იყო შემოსილი, ან იქით, ჩვენი ახლის მოპირდაპირე მხარეს, სადაც ახლა ზოოპარკია, პატარა ხის დუქანი იდგა, მომსახურე ძლიერ გამბრეილად უმსაბინძურებლდენ დუქნის მფლობელნი, ხოლო იქ, სადაც ჩვენი სახლი დგას, ხილის ბაღეკი ყვარდა. აქ კი, სადაც ახლა ჩვენ ვდგავართ, სადაც ეს ცირკის შენობაა გაშენებული, ძველთაგან მთავის ჯარისკაცთა კაზარმები იდგა. ცოტა მარჯვნივ, ქვემოლ, კეთილმოწყობილი, განიქმული ვერის ბაღი ამკობდა და უნდას, სწორედ ამ ბაღში იმართებოდა ძველდ შორეული ქვეყნებიდან ჩამოსული საპატივცემულო სტუმართა ოფიციალური თუ არაოფიციალური შეხვედრები, საქველმოქმედო აღევრა — საღამოები, სახალხო სერირბინი და სხვ. ერთი სიტყვით, რას და გის არ ახავადით ამ „ელემის ბაღში“, მასსოვს ერთი უცნაური შემთხვევა: ერთხელ, თუ არ ვცდებ, ჩვენი კონსერვატორიის დაარსების 10 წლის თავზე, უამრავი სტუმარი გვეწვია. გადაწყვიტეთ ღირსსულოლად შეხვედროდი მათ და აი, სწორედ ამ ბაღში გაემდგინო სუფრა. საღამოც შემოგვეხარა, შექნის ნაკლებობამ სუფრას იერი დაუკარგა, ცოტა ან იყოს, მოწყვეტილობა დამკვიდრდა. უცნაურ მთელი სუფრის ყურადღება არდნის უცნაურმა ჭყინიბმა მიიპყრო, ყველა იქით მიგრბობილით, საიდანაც ხმა მოისმოდა, ცოტა კიდევ და ჩვენს წინ ზორბა მოყვანილობა და ლამაზი გავიგონების კინორ აღმოჩნდა. მას წინ არდანი ჩამოვიდა და მარჯვნივ ხეით სახელების ატრიალებდა. მარცხენითი კიდეას გვიგზავნიდა და თანაც ქალაქური კოლონ შექსასს მღეროდა. ახლაც მასსოვს ის სიტყვები: „მალა, მალა ნუ დადინარ, ჩამოვიარები, ასი თუნისის პატრონი ხარ, დახურადღებო..“ ამ უცნაურ სიტყვებს ისე გვიმღეროდ და მიმხდევლად ამღერებდა, რომ თავი მართლა საბოლოოში გვიგონა. სუფრა სიმპირულემ მიიციე, ყველა ზეზე წამოიჭრა და ისე მივსალაძე კინტოს ტანი-სასმისო გადავმულ ბრვე ვაკეცა. აბა, გამოიციანი კინ შეიძლებოდა უფოლოყო ასეთი ვეყვაცი მაშინ?

— აბა რა ვიცი... ალბათ ღალით ვავსამე იყო, მაშინ სხვა კინ შეიძლებოდა ყუფილიყო?

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ბათუ. მართალია, ღალით იყო, ჩვენი გაუმეორებელი ღალი. დიდებული ვეყვაცი და შესანიშნავი მომღერალი და ოპერაში მსახიობი, — აბა, რა მშვენიერად მღეროდა ჩემს ურბულს! იმ, იმ ადამოს ღალიმ ყველაში ურბულის სიძლიერითი განაწვიფრა. გვიგონებოდი ღამის წყვილადში სადაცა შორეულ გზაზე მიმავალი მეურმეო, ისე დააყვარდა ჩემი ურბული, ყველა აღტაცებამო მოიყვანა, ტანის ცემითა და „ბრავოები“ ეხვოდნენ, კინდნენ. ხომ მოინახმენა მისი შესრულებითი ჩემი ურბული?

— როგორ არა, ბატონო დიმიტრი, იგი ნამდვილად შესანიშნავად მღეროდა, მის ურბულში ხალხური სული და სიბრანე სჩანდა, თქვენი ურბული შემოქმედებითი ძალა გამოსჰვიოდა.

— ეხლა ჩემო ბათუ, ცირკის შენობას ირგვლივ მოუაროთ და საცაღებო გზით დავემვათ შინსენი.

— კეთილი. — მივლევ და მართლაც ნელი ნაბიჯით დავეშვით დღამა. გზა და გზა ბატონი დიმიტრი ჩვენი მუსიკალური ცხოვრების წარსულზე, მის შესახებ იმხანად ადამიანებზე მესაუბრებოდა. მოიგონა „აბესალომის“... პირველი დაღამა, მისი მოსიძველე, მოიგონა პირველი „შემსრულებლები. მაშინ თბილისში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ლირიკო-დრამატული ტენორი, არაჩვეულებრივი ხმის პატრონი ბორის ზალომისი. მან პირველად შესარქლა აბესალომი. თავისი ხმის დრამტიკით, სიმთილით და ემოციონობით იგი ჩვენს ვანოს, წარმოიდგინეთ, არ ჩამოუვარდებოდა. მაგარად ღვით მომადლებული ვარგებობას და სცენურ ემსი ვანოს ხელ შეეღებოდათ. ვანო სცენისთვის დახაზებული ზალასი ნიჭი იყო. ან ვინ მეროდა ურბულს ზეადამიანური ძალით, ნამდვილად გენიალურად! როცა ვანი ურბულს მღეროდა, იმ შემთხვევაში ამღერებულ საქართველო იყო.

— ბევრი შესანიშნავი ხელოვანი ახსოვს ჩვენს სცენას.

— კიდევ, კიდევ, ვინ, ბატონო დიმიტრი.

— კაცო, არ დაიღალო?

— თქვენიან საუბარში, აბა, რა დამდის.

— ჩვენს სცენაზე მღეროდა ერთი სომეხი მამიდრალი ქალი, გვარად აიკანუმ დანელიანი, რომლის



წინაშე დიდ ვალშია ჩვენი მუსიკალური სამყარო. ის დიდი ქებისა და პატივისცემით მოგზნებს ღირსაა მარად უყმს. ვერ ერთი, ის იყო პირველი მარო ოქ-ვა „დაისში“, შემდეგ, რა ბრწყინვალეობით მღეროდა, ვერ წარმოადგენს, ჩემო ბათუ. მისი მსგავსი ვოკალი-სტები იშვიათად იხადებოდა. მას რომ შეესატყვისა სტენური ვარჯიშობა ჰქონოდა, ის მსოფლიო სხარულ მოიხვეჭდა. — მაღლივებით უნდა განვახადოთ და შენ, როგორც ჩემს ვინაირ ახალგაზრდა მღერობას, გავანთო კიდევ: ისეთი, დიდი დეტალობითა და სი-ღამით, როგორც დასვლიან, ჩემს რომანსებს იშვია-თად თუ ვინმე მღეროდა.

